პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილის.
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ.-ა.
და მატრ. დეპ. ხაზ.
ცაკის
ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზინ. ქ. № 4, მე 3 სართული.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის ქ., № 24 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

როვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— ქემალისტები განაგრძობენ სტამბოლისკენ შეტევას.

— ახლო აღმოსავლეთში ინგლისელები აძლიერებენ სამხედრო ძალებს.

— სტამბოლის დიდი ვეზირი მორჩილებას უცხადებს ანგორას.

— იტალიის პროფკავშირები უერთდებიან პროფინტერნს.

— საბერძნეთის მინისტრთა საბჭო დასთანხმდა ფრაკიის ევაკუაციაზე.

№ 233 ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 233

„ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო“

ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტი სცემს ზემოთ ხსენებულ სათაურით კრებულს რომელშიც გაშუქებული იქნება ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა როგორც ჩვენში,— საქართველოს სინამდვილით, ისე მსოფლიო მასშტაბით, აგრეთვე მოთავსებული იქნება მოგონებები და მოთხრობები ოქტომბრის რევოლიუციის პირდაპირ მონაწილეთაგან. ამიტომ ვთხოვთ რევოლიუციის აქტიურ მონაწილე ამხანაგებს წარმოადგინონ თავიანთი მოგონება—მოთხრობები, არა უგვიანეს ამ თვის 20 რიცხვისა.

მისამართი: **ს. კ. პ. ცენტრალ. კომიტეტის აგიტ-პროპი ს. თალაკვაძესთან.**

მოსისხლე მტერი ბურჟუაზიის თუ მისი ყავარჯენი

(გერმანიის სოციალ-დემოკრატების გაერთიანების გამო)

სწორეთ ცხრამეტი წლის წინათ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიულ პარტაიტაგზე, ქ. დრეზდენში, პარტიის ბელადმა, ბებელმა, თავის მოხსენებაში ტაქტიკის შესახებ, განაცხადა სიტყვა სიტყვით შემდეგი:

„მე ვრჩები **მოსისხლე მტერი** ბურჟუაზიული საზოგადოების და მისი სახელმწიფოებრივი წყობილების, რომ დავასამარო მისი არსებობის წყაროები და, თუ შევსძელი, მოვსპო ის“.

„მქუხარე ტაში“—ასეა აღნიშნული კონგრესის ოქმებში ის გამოხმაურება, რომელიც ჰპოვა ყრილობაზე ამ ძლიერმა სიტყვებმა.

ბებელის რევოლიუციონურ მრწამსს სრულიათ ეთანხმებოდა ის პროგნოზი „რევოლიუციების ახალი საუკუნის შესახებ“, რომელსაც აკეთებდა თეორეტიული ბელადი პარტიისა, კაუცკი, როდესაც ის არჩევდა სოციალდემოკრატიის მორიგ ამოცანებს გერმანიაში (1910 წ.) და სწერდა ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების შესახებ ამნაირათ:

„ეს იქნებოდა **პოლიტიკური თვითმკვლელობა** სოციალდემოკრატიისა, რომ სწორეთ დღეს, როდესაც სიტყვამ „რეაქციონური მასის“ შესახებ ხორცი შეისხა, მისგან მოეთხოვათ მონაწილეობა კოალიციონურ, ბლოკის პოლიტიკაში“.

დრეზდენის კონგრესიდან (1903 წ.), რომელიც აღტაცებით მიეგება ბებელის სიტყვებს, ჩვენ გვაშორებს, როგორც ვთქვით, ცხრამეტი წელი, ხოლო კაუცკის ნაწერიდან—თორმეტი და რასაკვირველია, არავისათვის „ახალი ამბავი“ არ იქნება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოხდა მსოფლიო ომის დროს, თუ ვიტყვით, რომ სოციალდემოკრატია, როგორც „მოსისხლე მტერი“ ბურჟუაზიული საზოგადოებისა, აღარ არსებობს და მისი „პოლიტიკური თვითმკვლელობაც“ „მომხდარი ფაქტი“ შეიქნა თვით მისი დღევანდელი კოალიციონური პოლიტიკის წარმოებამდისაც. ამასთანავე ცხადია, რომ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ 1910-ში კოალიციას უნდა შეექმნა ძლიერი ოპოზიცია კაიზერის გერმანიის წინააღმდეგ, ხოლო დღეს ის „განაგებს“ სახელწიფოს.

ბურჟუაზიის არსებობა, მისი ბატონობა დღეს წარმოუდგენელია ძლიერი „სოციალისტური“ პარტიის გარეშე. კერძოთ გერმანიის ბურჟუაზიას არ ძალუძს ბატონობა ძლიერი სოციალდემოკრატიული პარტიის დაუხმარებლათ. თავბრუ დამსხმელი გამარჯვებანი პრუსიის მილიტარიზმისა მსოფლიო ომის დროს შეუძლებელი იქნებოდა, რომ მის სრულ განკარგულებაში არ ყოფილიყო მორჩილ იარაღათ სოციალდემოკრატიული პარტია თავის უსაზღვრო გავლენით მილიონებიან შეკავშირებულ გერმანიის პროფკავშირებზე. ამ ექვსი წლის წინეთ ბურჟუაზიის გავლენას, მის მძლავრ მუხრუჭებს გაუსხლტა ერთი ნაწილი, უმცირესობა სოციალ-დემოკრატიის. ამ ორი კვირის წინეთ ბურჟუაზიამ კვლავ მოახერხა მათი შეერთება სწორეთ ისეთ პლატფორმაზე, რომელიც ხდის გერმანიის მთელ სოციალ-დემოკრატიას მის საიმედო დასაყრდენობ ყავარჯენათ თავისი კლასიური ბატონობის დროებით მაინც გასამტკიცებლათ. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა ზეიმობს ნიურენბერგის გამაერთიანებელი კონგრესის შედეგების გამო. საკმაოა მრავალთა შორის მოვიყვანოთ მოწმობა „ბერლინერ ტაგებლატტ“-ის, რომელიც სწერს: „პროგრამა (ნიურენბერგის ნ. კ.) არ სცნობს არც ერთ ფორმას პროლეტარიატის დიქტატურისას. შემდეგ ის უარჰყოფს მარქსიზმს, რომელიც აშენებულია „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციაზე“ ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებრივობაზე. დანარჩენში—ეს არის პროგრამა რადიკალური სოციალ-პოლიტიკოსების“.

პროლეტარიატის დიქტატურა და კოალიციონური მთავრობის წინააღმდეგ—ეს ორი დებულება აშორებდა სიტყვით (არა საქმით) „დამოუკიდებელ“ სოციალ დემოკრატიას შეიდემანელებისაგან. ეს სიტყვაც დამარხა ნიურენბერგის პროგრამამ და ამნაირათ კაუცკი-ჰინფერდინგის პარტია ფორმალურათაც მოისპო, როგორც პოლიტიკური წარმომადგენლობა პროლეტარიატის, რამდენადაც ამის პრეტენზიას კიდევ ატარებდა დღემდი ეს პარტია.

უზომო, განუსაზღვრელი ექსპლოატაცია გერმანიის მუშათა კლასის ნაციონალური და ანტანტის ბურჟუაზიის სასარგებლოთ, ბრძოლა თანდათანი განვითარებისა და გაძლიერების გზით მიმავალი კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ და საბოტაჟი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროლეტარული რევოლიუციისა გერმანიაში— აი მიზანი, რომელსაც ისახავს გერმანიის ბურჟუაზია ორივე სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანებით. როგორც შეიდემანელთა კონგრესზე აუგსბურგში, და „დამოუკიდებლებისაზე“ გარეში, ისე გამაერთიანებელ ყრილობაზე ნიურენბერგში და საერთოთ ბურჟუაზიულ პრესაშიაც ერთ მთავარ ამოცანათ გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიას უყენებენ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლას. ცხადია კომუნიზმი გერმანიაში და მისი პარტია წარმოადგენს ძალას, რომელიც ბარიკადის მეორე ნახარზე თავს უყრის „ერთიან რეაქციონურ მასას“, ამიტომ ერთათ ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია პროლეტარიატის, რომელიც დარჩა დღეს გერმანიაში ფაქტიურათ და ფორმალურათ არის სექცია კომინტერნის. მხოლოთ მას შეუძლია ლაპარაკი დღეს, როგორც ერთათ-ერთ კლასიურ წარმომადგენლობას გერმანიის პროლეტარიატისას. და უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ ძალთა გამართვების და მუშათა რევოლიუციონური თვითშეგნების თვალსაზრისით ნიურენბერგის გამაერთიანებელი კონგრესი არის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომელიც არსებითად სცვლის მუშათა კლასის პოლიტიკურ მდგომარეობას. ერთი მეორეს უპირისპირდება კომუნისტური პარტია პროფინტერნის მიმდევარი კავშირებით და გერმანიის ბურჟუაზია, რომლის ფორპოსტი შემოჰფილია მუშათა კლასის ბანაკში გაერთიანებული სოც.-დემოკრატიის სახით. ცხადია ამიტომ ის დიადი ამოცანა, რომელიც წინ უდევს გადასაჭრელათ კომინტერნსა და მის სექციას გერმანიაში. ობიექტიური მდგომარეობა ქვეყნის ჰქმნის დიდათ ხელსაყრელ პირობებს გავლენის დასაპყრობათ გერმანიის პროლეტარიატზე. კოალიციონური მთავრობა ვერაფერს მისცემს მუშათა კლასს გარდა ახალი ბორკილებისა და სიღატაკის პროგრესიულათ ზრდისა. ორგანიზაციის ერთიანობის ტრადიციაში აღზრდილი გერმანიის მუშათა კლასისთვის, უკეთესათ რომ ვსთქვათ, დღეს მხოლოდ მისი ზოგიერთი წრეებისთვის, შეიძლება რაიმე იმედების აღმძვრელი იქნეს გაერთიანება სოციალ დემოკრატიის. მაგრამ სულ ახლო მომავალში ის დარწმუნდება თავის საკუთარ მაგალითზე, რომ დიდი პრინციპი ძალთა შეკავშირების მხოლოდ მაშინ არის ცხოველმყოფელი პროლეტარიატისთვის, როდესაც მას უდევს საფუძვლათ არა უარყოფა მუშათა სასიცოცხლო კლასიური ინტერესების, ფაქტიურათ ბურჟუაზიის სასარგებლოთ, არამედ ბრძოლა ამ ინტერესებისთვის ექსპლოატატორების წინააღმდეგ. ხოლო, როგორც ვსთქვით, ასეთი არ არის პროგრამა ნიურენბერგის. უკვე დღესვე „გაერთიანებულთა“ ზეიმი იზხამება რეალური უშედეგობის პერსპექტივით, რომლის მოლოდინში არიან თვით „დამოუკიდებელნი“. დიდი „პროჟექტორობა“ არ არის საჭირო, რომ ასეთი კრახი უწინასწარმეტყველო დღეს გაერთიანებულ სოციალ დემოკრატიას. და ეს იქნება იმავე დროს აღსასრული ბურჟუაზიის „უკანასკნელი რეზერვის“ და დიდი გამარჯვება კომინტერნისა გერმანიაში.

ნ. კრედო.

საბჭ. ფედერაციის კომუნისტური ახალგაზრდობის მეხუთე ყრილობა

გუშინ საბჭოთა ფედერაციის, პროლეტარულ რევოლიუციის ცენტრში მოსკოვში გაიხსნა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის მე-5 ყრილობა.

მეხუთე ყრილობას უაღრესი მნიშვნელობა აქვს დღეს რ. ა. კ. კავშირისთვის. ყრილობის წინაშე სდგას არა მარტო ჩვეულებრივი ორგანიზაციული ხასიათის კითხვები, არამედ მის დღის წესრიგში დასმულია მთელი რიგი კითხვებისა, რომელნიც წამოიჭრენ ახალ ეკონომიურ კონიუქტურასთან დაკავშირებით მთელ საბჭოთა ფედერაციაში. გარდა იმისა, რომ მეხუთე ყრილობამ უნდა აღნიშნოს ის, თუ როგორ გატარდა მე-4 ყრილობის დადგენილებანი ცხოვრებაში, იყო თუ არა ისინი შეხამებული ახალ პირობებთან, მან უნდა დასახოს სავსებით გარკვეული ხაზი, გამოიმუშაოს მომავალი მუშაობის დაწვრილებითი გეგმა, კავშირის პოლიტიკურ აღმზრდელობის კავშირის პოზიცია სახელმწიფოს და მართველი პარტიის წინაშე წამოჭრილ ამოცანებში და გაითვალისწინოს ის წვლილი, რომელიც ექვს გარეშეა უნდა შეიტანოს საბჭოთა ფედერაციის ეკონომიურ აყვავებაში მოზარდმა კომუნისტურმა თაობამ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციონურ-პროლეტარულ ახალგაზრდობას პროლეტარულ სახელმწიფოს შენებაში, მის განვითარებაში. დიდია დამსახურება ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა, კერძოთ იმ მომენტში, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკას შეიარაღებული ძალით დაცვა ესაჭიროებოდა, როდესაც იარაღი სწყვეტდა მის არსებობას, როდესაც სამოქალაქო ომის ფრონტებზე იჭედებოდა მომავალი პირველი პროლეტარული სახელმწიფოსი. საბჭოთა რესპუბლიკისათვის არსებობის შემნარჩუნებელ წითელ არმიას შეუძლია სთქვას თუ როგორი კოლოსალური დახმარება გაუწია მას ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირმა, წითელი კომანდირების, ჯარის ყოველგვარი მასწავლებლების და ხელმძღვანელების მოწოდებაში. ამ პერიოდში რუსეთის კომუნისტურმა ახალგაზრდობამ, იდგა რა ის თავის დანიშნულების სიმაღლეზე, დიადი სახელი დაიმსახურა და სამოქალაქო ომის ისტორიაში საპატიო ადგილი დაიკავა.

„სამხედრო კომუნიზმის“ ხანამ განვლო და დღეს შექმნილ მშვიდობიან აღმშენებლობის პერიოდში, კომუნისტური კავშირი სულ სხვა გვარად ანვითარებს თავის მუშაობას, სულ სხვა გვარი მეთოდებით მიმართავს თავის საქმიანობას. თუ სამოქალაქო ომის პერიოდში კავშირს ევალებოდა მთელი ძალები, მთელი ენერგია და ცოდნა მიემართა იქითკენ, რათა კომუნისტურ პარტიასთან ერთად გამოემუშავებია ის საშუალებანი, ის ღონისძიებანი, გადაედგა ის ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საბჭოთა რესპუბლიკის არსებობას, დღეს, როგორც ყოველივე ეს მიღწეულია, როდესაც მართველი კომუნისტური პარტია იბრძვის ახალ ფრონტზე, ეკონომიური გაჯანსაღების ფრონტზე,— ეხლა კომუნისტურმა კავშირმა უნდა დაუქვემდებაროს თავისი მუშაობა, თავისი ამოცანები იმ პირობებს, რომელიც შეიქნა სამხედრო კომუნიზმის შემდეგ. ერთ ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ კავშირი წარსდგა ისეთ სერიოზულ ამოცანების წინაშე ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მიერ შექმნილ პირობებში, რომ დღემდის მან ეს ამოცანები მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყვიტა და შემდეგშიც დასჭირდება არა ნაკლები მუშაობის გაწევა. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ კავშირს დაანახვა მისი **პოლიტიკური და კულტურული** მოუმზადებლობა. შეიქმნა თავისებური პირობები ქალაქად და სოფლად. ქალაქებში, წარმოებაში სამეურნეო ანგარიშიანობის შემოღებამ ამის გამო შტატების შემოკლებამ ახალგაზრდობის ხარჯზე, როგორც ნაკლებ კვალიფიციური ძალის, საცხოვრებელი მინიმუმის განუმტკიცებლობამ, მუშათა ახალგაზრდობისათვის 4—6 საათის სამუშაო დღის შეუსრულებლობა, როგორც სახელმწიფოებრივ ისე კერძო წარმოებაში და სხვ., შექმნა ისეთი პირობები, რომ მუშათა ახალგაზრდობა დიდ გასაჭირში ჩავარდა, რომ მას ესაჭიროებოდა ხელმძღვანელობა, და დაცვა, ყოველივე ზემო თქმულის გადალახვა, არსებობის ნორმალური პირობების შექმნა. თუ კი კომუნისტური კავშირი, როგორც ხელმძღვანელი მუშათა ახალგაზრდობის, როგორც ყველაზე მეტათ დაინტერესებული მის ეკონომიური პირობების დაცვაში, ამ მხრივ გადამწყვეტ ნაბიჯებს არ გადადგამდა და ცოტად თუ ბევრად არ გასცემდა პასუხს მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც დღითი დღე სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა იმ შემთხვევაში პრესტიჟი მისი, მნიშვნელობა კომუნისტური კავშირის მუშათა ახალგაზრდობის ფართე მასსებში დაეცემოდა და მისი გავლენა უკანასკნელებზე შესუსტდებოდა.

არა ნაკლებ გართულდა მდგომარეობა სოფელში წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის განვითარება შექმნიდა განსაზღვრულ დამაბრკოლებელ პირობებს კომუნისტური საქმიანობისთვის. სოფლის ახალგაზრდა გლეხი, გინდ მდგომარეობითაც ახლოს მყოფი პროლეტარიატთან წარმოადგენს მერყევ ელემენტს კომუნისტური იდეების სუსტათ შემთვისებელს და მატარებელს. საჭირო იყო და არის შორს დაყენება სოფლის პროლეტარულ ახალგაზრდობისა წვრილ ბურჟუაზიულ გავლენისაგან, ახალი ეკონომიური პოლიტიკის მახინჯ მხარეებისაგან, გაწევა მასში გაძლიერებულ კულტურულ პოლიტიკური მუშაობის და ასე ამგვარად მისი თანდათანობითი „გადახარშვა“. რადგან ამ სიბნელთა დაძლევა არც ისე ადვილი და მოკლე დროის საქმე იყო, როგორც ეს სამართლიანად იქნა აღნიშნული რ. კ. პ. მე-11 ყრილობაზე, ამიტომ ადგილი ჰქონდა კომუნისტური კავშირის დასუსტებას, მისი გავლენის დაცემას ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა მასსებში. იმ 1921 წლის გასულ ოქტომბრის შემდგარ მე-4 ყრილობის თავსამტვრევ კითხვას სწორეთ ეს შეადგენდა, და მან გამოიმუშავა ის ფორმები მომავალი მუშაობისა, რომელმაც ეს მდგომარეობა ძირითადათ შესცვალა, და ერთი წლის თავზე მოგვცა განუზომელი დადებითი შედეგები. მიუხედავად ამისა მეხუთე ყრილობას ესაჭიროება ამ რეალურ ღონისძიებათა განვითარება, რათა უახლოეს დროში აღკვეცილ იქნას კავშირში ყველა ის დეფიქტები რომელიც იქნა აღნიშნული კომპარტიის მე 11 ყრილობაზე. კომუნისტური პარტია კი თავის მხრივ მუშაობას კომუნისტურ ახალგაზრდობის შორის დიდ ანგარიშს გაუწევს, რადგან ის არის სერიოზული საქმე და, ტროცკის სიტყვით რომ ვსთქვათ, არსებულ წესწყობილების შენარჩუნების შემდეგ, პარტიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა. კომუნისტურ ახალგაზრდობას ესაჭიროება დღეს ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე, ბრძოლა მთელი ახალგაზრდობის დასაპყრობად, მათ გასაერთიანებლად ბრძოლა რათა **შეიქნენ ისეთი ახალგაზრდა მებრძოლნი, რომლებიც გააგრძელებენ რუსეთის კომუნისტური პარტიის სახელოვან ტრადიციებს** (ზინოვიევი) მეხუთე ყრილობამ სწორეთ ამაზე უნდა შეაჩეროს კიდევ თავისი ყურადღება, ვინაიდან არ უნდა დავივიწყოთ, რომ რ. ა. კ. კავშირი, რომელიც დღეს აერთიანებს 400,000 მეტ წევრს, სულ რამოდენიმე წლის უკან, სახელდობრ, 1917 წელში, ითვლიდა მხოლოდ 20,000 წევრს და ეს უზარმაზარი ზრდა ამტკიცებს, რომ ეს მასსა არ იყო „გადამუშავებული“, ის იყო მხოლოთ შეპყრობილი რევოლიუციონური აღტყინებით, რომ ამ მასსას დღეს ესაჭიროება „გადამუშავება“, მარქსიზმის შესწავლა, თეორეტიკოს მარქსისტებად გადაქცევა, ვინაიდან **კავშირი ჰქმნის ძირითად კადრს, სამეურნეო და პარტიულ ორგანიზატორებისას, საბჭოთა მეურნეობის და კომუნიზმის მომავალ აღმშენებლებს**“. (საფაროვი)

მაშ უსურვოთ მეხუთე ყრილობას, არ გადაიხვიოს ამ ამოცანებისთვის და დაისახოს მუშაობის და ბრძოლის, ის ახალი მეთოდები, რომლებიც გაამაგრებენ კავშირს, ასწევენ მის ავტორიტეტს მშრომელ ახალგაზრდობის ფართე მასსებში და დადებით შედეგამდე მიიყვანებენ კომპარტიის გრანდიოზულ ბრძოლას.

დ. გვაზავა.

ვის მიმართავენ მოწოდებით?

ამ რამოდენიმე დღის წინეთ ახალგაზრდა „მარქსისტთა“ ორგანიზაციამ „მოწოდებით“ მიმართა საქართველოს ახალგაზრდობას, რათა ამ უკანასკნელმა სათანადო მეჯავრი დასდოს საბჭოთა ხელისუფლებას, მისი შეუბრალებელი ბრძოლის გამო, კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, რომლის ხელშეუხლებლობა წარმოგინების საშუალებას მისცემდა ისტორიის სანაგვეზედ გადაგდებულ საქართველოს მენშევიზმს. მოწოდების მთავარი დედა აზრს და მის შინაარს ქვემოთ შევეხებით, მხოლოდ აქ ავღნიშნავთ ორიოდე სიტყვით, ვინ არიან ეს ვაჟბატონები, ლომთაძეები, ყიასაშვილები, ჩაჩუები და ძმანი მათნი, რომლებიც მარქსისტებსაც კი უწოდებენ თავიანთ თავს, ხოლო ყოველ გზა ჯვარედინზე შეუბრალებლად ამახინჯებენ მარქსიზმის რევოლიუციონურ ცნებას. ვისი სახელით ლაპარაკობენ? ვინ ყავთ მხედველობაში? ორგანიზაცია, რომელიც მშრომელი ხალხის მოსატყუებლათ არ არის გახვეული სოციალისტურ მანტიაში, არამედ სერიოზულად ცდილობს რევოლიუციონურ იდეის ცხოვრებაში გატარებას პრაქტიკული მუშაობის წარმოებით, თუ მას აქვს სასიცოცხლო ნიშან წყალი, აუცილებლად უნდა ეყრნდობოდეს მუშათა კლასის რევოლიუციონურ ავტორიტეტს. ამ უკანასკნელს მოკლებული არის საქართველოს ახალგაზრდა „მარქსისტთა“ ორგანიზაცია, მას არავითარი გავლენა არ აქვს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის მასსაში. ეს მით კი არ აიხსნება, რომ მუშათა ახალგაზრდობას არ ქონდეს უნარი შეითვისოს რევოლიუციონური მარქსიზმი, არამედ მით, რომ თვით ახალგაზრდა „მარქსისტთა“ ორგანიზაცია რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე დაშორდა მარქსიზმის პრინციპებს, მხოლოდ დღეს მათ კიდევ უფრო სჭირდებათ ამოეტმასნონ მარქსისტთა სახელწოდებას, რათა შეუმჩნეველყონ ახალგაზრდობისთვის თავიანთი შოვინისტური, ანტი-რევოლიუციონური ფიზიონომია. არა თუ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს არამედ მაშინაც, როდესაც საქართველოში ბატონობდა მენშევიკური პარტია, ახალგაზრდა „მარქსისტთა ორგანიზაციას“ არ მიყვებოდა ქალაქის და სოფლის მუშათა ახალგაზრდობა. ამიტომ მათი მცირე რიცხოვანი მრევლი შესდგებოდა მეშჩანურ მოწაფეებისაგან, რომლის უმნიშვნელო ნაწილი დღესაც მიყვება მათ. ის ხალხი, რომელსაც ორგანიზაცია არასოდეს არ ქონია, არამედ სწავლის სეზონის მიხედვით, კრეფდა მოწაფეობას და ისინი გამოყავდა მარქსისტულ ორგანიზაციის როლში—აი ეს კაცუნები, დღეს მოწოდებით მიმართავენ საქართველოს ახალგაზრდობას!

რა უფლება აქვთ მათ ამისი? განა მათ კარგათ არ უწყიან თუ, ვის მხარეზედ არიან საქართველოს ახალგაზრდათა მუშები და გლეხები? განა არ იციან, რომ მათ კონტრ-რევოლიუციონურ მოტივისა და ფრაზეოლოგიას ყურს არ ათხოვებს საქართველოს რევოლიუციონური ახალგაზრდობა, იციან, მაგრამ შიშობენ და გაურბიან ფაქტს სისწორით შეხედონ. ახალგაზრდა მუშების და გლეხების რევოლიუციონური ნების ყოფა და პოლიტიკური სიმტკიცე ყველას დასანახათ და გასაგონათ გამოაშკარავდა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს, 3 სექტ. დღესასწაულზე სადაც კომუნისტური კავშირის 12,000 წევრთან ერთად მონაწილეობა მიიღეს 80,000-მა საქართველოს ახალგაზრდა მუშებმა და გლეხებმა. ეს უბრალო, შემთხვევითი მოვლენა როდია, არამედ ეს არის უტყუარი დამამტკიცებელი იმისი, რომ საქართველოს ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობის, ყველაზედ უფრო მოწინავე რევოლიუციონური ელემენტები, ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის რაზმთა რიგში სდგას და მათ არავითარი სიმპატია და საერთო რამ არ აქვთ ახალგაზრდათა მე-2 და 2-ნახ. ინტერნაციონალთან, მაშასადამე არც საერთაშორისო მენშევიზმის პატარა აგენტურასთან, საქართველოს ახალგაზრდა „მარქსისტთა“ ორგანიზაციასთან. ამ ფაქტის რაობის და მნიშვნელობის გაგებას გაურბიან ზ. ზ. ყიასაშვილები და ჩაჩუები მაგრამ, ინგლისური ანდაზა გვეუბნება „факты упрямая вещь“. რას მოსთქვამენ ახალგაზრდა მარქსისტები?

დასტირიან დაკარგულ ბატონობას, როდესაც მენშევიკური პარტიის დამქაშები თავისუფლად ნავარდობდენ საქართველოს რევოლიუციონერთა ზურგზე. მოწოდებაში ნათქვამია: „მათ (კომუნისტებმა) მოსპეს საქართველოს დამოუკიდებლობა“, მოწოდების ავტორი ალბად ჯერ კიდევ მთვრალი არიან წარსულ „ბედნიერების“ მოგონებით, თორემ ცოტად თუ ბევრად საღად მოაზროვნე ადამიანს შეუძლია გაიგოს, რომ საქართველომ თავი დააღწია დამოუკიდებლობას რევოლიუციიდან. მასში გაიმარჯვა რევოლიუციონურმა ტრადიციამ და რევოლიუციონურ ოჯახს დაუბრუნდა. საქართველოს მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში უშესანიშნავეს მომენტათ ითვლება, როდესაც საქართველო თავისუფლდება მენშევიკური პარტიის ბატონობისაგან და მით ის დამოუკიდებელი ხდება დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმისაგან. შემდეგ სწერია:

„მათ მოშალეს და დაანგრიეს ჩვენი სამეურნეო ცხოვრება და ხალხი საშინელ შიმშილისა და ეპიდემიის საფრთხის წინაშე დააყენეს“. ეს სულ უბრალო ლიტონი სიტყვებია, სულ ყველას შეუძლია გაიგოს მისი ფასი, მხოლოთ მისს ავტორებს ერთხელ კიდევ ურჩევთ ფაქტების დამახინჯებას გვერდი აუხვიონ. ჩვენ არაფერს ვიტყვით აქ იმას შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა მეურნეობა „დემოკრატიის ოაზისში“ და რა ზომებს მიმართავდა მენშევიკური პარტია თავის სამი წლის ბატონობის განმავლობაში მის აღსადგენათ. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ხან მოკლე დროის განმავლობაში შესძლო არა თუ შეეჩერებია მეურნეობის ნგრევა, არამედ დაეძრა ის მკვდარი წერტილიდან და მასში ახალი ენერგიის ჩაღვიძებით გაექანებია წინ შემდეგი განვითარებისაკენ. განა მოსწრებია ოდესმე მენშევიკებს, იმ გიგანტიურ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს, მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის? ეს დიდი მნიშვნელობის მუშაობა, რომელიც დღეს სწარმოებს, ქვეყნის მელიორაცია, ელექტროფიკაცია, გზების გაყვანა და სხვა, საფუძველად დაედება სოციალისტური რესპუბლიკის მეურნეობას. მხოლოდ ბრმებს და ყრუებს არ შეუძლიათ დაინახონ და გაიგონ ის დიადი მუშაობა სამეურნეო ფრონტზე და ის სამეურნეო დახმარება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება უწევს მშრომელ ხალხს. გასულ წელს, როცა სტიქიურ მოვლენათა გამო საშინელი შიმშილი დაატყდა ხალხს, მთავრობამ მიიღო ენერგიული ზომები და ხალხს მისცა 720.000 ფუთი სიმინდი და ხორბალი სათესლეთ და პირდაპირ მოსახმარად ეს იმ დროს, როცა სასურსათო გადასახადით მთავრობას არ არ შეუკრებია 100.000 ფუთიც. ამ ფაქტის შესახებ, არაფრის თქმა არ უნდათ ლომთაძეებს. ყიასოვებს და ჩაჩუებს, მაგრამ საქართველოს მშრომელ ხალხს და ახალგაზრდობას ეს არ უკვირთ, რადგან კარგათ იციან, თუ ვინ არიან ეს ვაჟბატონები, რომლებიც უნივერსიტეტის კედლებს არსად გასცილებიან და საქართველოს ახალგაზრდობის სახელით კი ლაპარაკობენ. ეს მათი საერთო თვისებაა, საქართველოს ახალგაზრდა „მარქსისტები“, რომ დიდი „ჰუმანიური“ ხალხია, ამაში ეჭვი არ გვეპარება და ამიტომაც არ გვიკვირს მათი ყვირილი: „მათ (კომუნისტებმა) ციხეთ გადააქციეს მთელი საქართველო და შიგ ჩაყარეს ხალხის საუკეთესო შვილები“, მაგრამ საინტერესოა, ალტრუისტული გრძნობებით გამსჭვალული ადამიანები სად იყვნენ მაშინ, როდესაც მენშევიკური პარტია ასობით ხვრეტდა და აწამებდა მუშათა კლასის საუკეთესო შვილებს. სად იყავით იმ დროს, რატომ კრინტს არ ძრავდით, როდესაც ნიკოლოზ მეორის რეჟიმის, ოზურგეთის ძველი ბოქაული, კიდია მენშევიკურ სამოსელში გახვეული, გვარდიელ ყაჩაღ მათიათაშვილთან ერთად, 1919 წელს მენშევიკურ პარტიის ტირანიის წინააღმდეგ აჯანყებულ გურიის რევოლიუციონურ გლეხობას ხვრეტდნენ.

ალბათ თქვენს „მარქსისტულ“ სინიდისს ოდნავ არ ქენჯნიდა ის შემაძრწუნებელი საქმე, როდესაც მენშევიკებმა ხაშურში დახვრიტეს კომუნისტური კავშირის წევრი ახალგაზრდა მუშა **ამხ. ებანოიძე**, ალბათ არც კი იცით, რომ 1918 წ. სამეგრელოში აჯანყების დროს, მენშევიკურმა პარტიამ დახვრეტა გადაუწყვიტა და თავის ხელით სამარე გაათხრევინა კომუნისტური კავშირის წევრებს, 18 წლის [illegible] გლეხებს **ამხ. ფრანგიშვილს** [illegible]ვას. ასეთი ფაქტები მრავალია. [illegible] მდიდარია ახალგაზრდათა კომუნისტური მოძრაობის ისტორია საქართველოში. ახალგაზრდა მენშევიკები ცდილობენ დაივიწყებას მისცენ ის მწარე სინამდვილე, რომელიც თავს დაატყდა რევოლიუციონურ ახალგაზრდობას, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდა მუშებმა და გლეხებმა ის არ დაივიწყეს და მჭიდროთ შემოკრბინ კომუნისტური კავშირის გარშემო საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად და განსამტკიცებლად. როდესაც დღეს საქართველოს ხელისუფლება ადგენს, თავიდან მოშორებულ იქნეს ის პირები, რომლებიც ხელს უშლიან მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობას, საზღვარგარეთ გასტუმრებულ იქნან ის დარჩენილი მენშევიკები, რომლებმაც დროზე ვერ მოასწრეს გაყოლოდათ ნოეს კიდობანს, ეს გადაწყვეტილება გამოხატულებაა საქართველოს მშრომელ ხალხის ნება სურვილის და მათ შორის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის, რომელიც ერთად ერთი ახალგაზრდათა რევოლიუციონური ორგანიზაციაა საქართველოში. ამიტომ, ახალგაზრდა მენშევიკებს, ერთხელ კიდევ ვაფრთხილებთ.

ქ. გორდელაძე.

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან

მოსკოვი. 9 ოქტ. საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებულმა ამხ. ჩიჩერინმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა: „გენუა, ჰააგა, მოკავშირეთა კონფერენციები—სულყველაფერი ეს არის ინგლის საფრანგეთის ბრძოლის ეპიზოდები. ანტაგონიზმი წითელი ძაფათ გამსჭვივს ომის შემდეგ მომხდარ ყველა საერთაშორისო ამბებს შორის, ძალიან განვითარებული საფრანგეთის სამრეწველო კაპიტალი ეძებს დამოუკიდებელ პოლიტიკის ნიადაგს. მან დაიწყო თანამშრომლობის ძიება სხვა კაპიტალებთან და ეს თანამშრომლობა აიძულებს მას შეუთანხმდეს საბჭოთა რუსეთს. ინგლისის წინაშე ჩნდება მატერიკზე ძლიერი ეკონომიური მეტოქე. ამავე დროს ინგლისის მრეწველობა ჰკარგავს ოკეანის იქით მდიდარ ბაზრებს. უნიონისტები რომელიც მიილტვიან ლოიდ ჯორჯის გამოსაცვლელად სცდილობენ მიაქციონ ინგლისის კაპიტალის ყურადღება ინგლისის კოლონიებზე, ლოიდ-ჯორჯის საწინააღმდეგოთ, რომელიც ეძებს დასაყრდენობს რუსეთში. ლიბერალების და ინგლისის მუშათა კლასის კოალიციის გაბატონებისა და საფრანგეთის მემარცხენე პარტიების ბლოკის ხანა იქნება ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის გამოცდის ხანა. გერმანიის კაპიტალისტებს შორის უკანასკნელ ხანებში ძლიერდება საფრანგეთის ორიენტაცია და სუსტდება ინგლისისა, სტინესის პოლიტიკის გამარჯვების გამო, რომელიც ეკონომიურად უკავშირდება საფრანგეთის კაპიტალს. გერმანიის დაჩაგრულ მდგომარეობის შედეგია გერმანიის საზოგადოების ლტოლვა რუსეთისაკენ და ჩვენი პოლიტიკისადმი ღრმა თანაგრძნობა“.

შემდეგ ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა, „რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ამოცანას შეადგენს საზღვრების დაცვა და წარმოების განვითარება. თითეული კონცესია ამტკიცებს ჩვენ პოლიტიკურ მდგომარეობას, თვითეული პოლიტიკური გამარჯვება ხელს უწყობს ჩვენი წარმოების განვითარებას“.

„ჩვენ, სთქვა ამხ. ჩიჩერინმა, უნდა ვყოთ ეხლა დაინტერესებული სახალხო პოლიტიკური საკითხებით, ჩვენ არ უნდა გავუშვათ მომენტი, მზად ვიყოთ, გვრწამს რა, რომ მსოფლიო ძალას, საბჭოთა რუსეთს არ შეუძლია დაუჯილად გაუშვას ხელიდან ის როლი, რომელიც მას ეკუთვნის“. დასკვნაში ამხ. ჩიჩერინმა აღნიშნა; რომ ეხლა ყველგან მერყეობა სუფევს. მსოფლიო კრიზისი იზრდება.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის მე-2 სესია

მესამე სხდომა

(5 ოქტომბერი).

დღის წესრიგში დგას მოხსენება სამაზრო და სათემო აღმასრულებელი ორგანოების რეორგანიზაციის კანონ პროექტის შესახებ, რომელსაც აკეთებს ამხ. ეშბა რუსულ ენაზე. ქართულად თარგმნის ამხ. თ. კალანდაძე.

ამხანაგებო, კითხვა სათემო და სამაზრო აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ განხილულ იქნა თქვენ მიერ არჩეულ კომისიაში. საგნის ყოველმხრივ განხილვის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს საკითხი არის ფრიად რთული და მისი გადაწყვეტა დღეს ასე საჩქაროთ ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ კომისიამ გადაწყვიტა, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას კომუნისტურ ფრაქციის სხდომაზე, სადაც საგნის განხილვის შემდეგ დადგენილ იქნა: ეთხოვოს სესიის პლენუმს გადასცეს ეს საკითხი ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს. პრეზიდიუმს გადაეცემა აგრეთვე მთელი მასალა, რომელიც მოგროვილი არის ამ საკითხის გარშემო; დაევალოს პრეზიდიუმს ახლო მომავალში ეს საკითხი კიდევ დაათვალიეროს, თუ შესაძლებელი იქნება, კიდევ შეაგროვოს მასალები და გამოსცეს შესაფერი დეკრეტი. ასეთი არის აზრი კომისიისა და ფრაქციის.

მოხსენების შემდეგ, თანახმად შემოსულ წინადადებისა საკითხი გადაეცა ცაკას პრეზიდიუმს შესაფერი დებულების გამოსაცემად.

შემდეგ საკითხზე: შორაპნის სამაზრო ცენტრის ქიათურაში გადატანის შესახებ, მოხსენებას აკეთებს ამხ. ორახელაშვილი.

ამხ. ორახელაშვილი: ბორჯომის შესახებ კომისიას ჯერ არ ქონია მსჯელობა. კომისიაში იყო მსჯელობა მხოლოდ ზესტაფონიდან სამაზრო ცენტრის გადატანის შესახებ და გადაწყვეტილებაც მივიღეთ. ბორჯომის საკითხი უფრო რთული საკითხია. ამაში დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა უწყებები და მე მგონია, რომ ასე ნაჩქარევად მის შესახებ დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, მით უმეტეს რომ კომისიას პირველ სხდომაზე ხელთ არ ქონია სათანადო საბუთები და მასალები. თუ შესაძლებელი გახდა დღეს დილითვე ექნება კომისიას სხდომა ამ საკითხის შესახებ და იმედია დღესვე საკითხი გამორკვეული იქნება. ახლა ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ კომისიის აზრს და დასკვნას შორაპნის სამაზრო ცენტრის ქიათურაში გადატანის შესახებ. თუ წინათ მაზრების დაყოფა ადმინისტრატიულ მოსაზრების მიხედვით ხდებოდა, თუ წინათ ბიუროკრატია ისე სრავდა მთელს მხარეს, როგორც ეს პოლიციურ მსოფლმხედველობას შეესაბამებოდა, ახლა საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობა, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი მოვალეობაა, რომ ადმინისტრატიული ჩარჩო შესაფერისად შეგუებული იყოს იმ მოთხოვნილებასთან, რომლის მატარებელია ესა თუ ის რაიონი, როგორც მწარმოებელი რაიონი, როგორც ეკონომიური ერთეული. ამ პრინციპით ჩვენ უნდა შევუდგეთ მთელი რესპუბლიკის რუქის გადათვალიერებას და ძველი ადმინისტრატიული საზღვრების ახალ გადახაზვას. კომისიის აზრით რესპუბლიკა დასერილი უნდა იყოს ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი ეკონომიური ვითარება და პერსპექტივები. ძველი ადმინისტრატიული დახაზვა ძირიანად უნდა შეიცვალოს. მაგრამ ეს მომავალის საქმეა, როცა ჩვენ მასალა გვექნება რესპუბლიკის ეკონომიურ რაიონებათ დასაყოფათ. ახლა კი ჩვენ წინ არის კონკრეტიული საკითხი ზესტაფონიდან ქიათურაში სამაზრო ცენტრის გადატანის შესახებ. კომისია გამოსთქვამს შემდეგ აზრს: არავითარი საბუთი არ ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ზესტაფონში დარჩეს სამაზრო ცენტრი. ზესტაფონი მდებარეობს მაზრის პერიფერიაზე, არავითარ როლს წარმოებაში ის არ თამაშობს. ვინც იცნობს ამ დაბას მან იცის რომ ეს არის ტიპიური იმერული წვრილ ბურჟუაზიული დაბა, სადაც ბევრი ღვინის დუქნებია და საფართლოები, მაგრამ ეკონომიურად ხელმძღვანელ და მოკარნახე როლს ის არც წინათ თამაშობდა, არც ახლა, და მე მგონია ახლო მომავალშიაც ვერ ითამაშებს, ვინაიდან ზესტაფონის რაიონი უკვე ჩამოყალიბებული არის ეკონომიურად—ის არის ტიპიური სოფლის მეურნეობის კუთხე, სადაც არის სიმინდი და ვენახის კულტურა. რასაკვირველია ამ კულტურას მთელის აყვავება, გაფართოება, ეგებ ახალი ბაზრის დაპყრობა, მაგრამ ის აყვავება და გაფართოება ახალი სამრეწველო კულტურის შესაძლებლობანი ამ რაიონში მეტად შეკვეცილია ბუნებრივი პირობებით. ახლა კი ზესტაფონი ეკონომიური ცენტრის როლს სრულებითაც არ თამაშობს, ის მხოლოდ საბაზრო ადგილია და ეს როლი მას მუდამ შერჩება. ჩვენი დროის სამაზრო ცენტრი მარტო ადმინისტრატიული ცენტრი კი არ არის. მართველობა ჩვენს სისტემაში შედუღებულია წარმოების ხელმძღვანელობასთან, საწარმოო ძალთა აღორძინებელ საქმიანობასთან. მაშასადამე ზესტაფონს არავითარი პრეტენზია არ უნდა ქონდეს, რომ იქ დარჩეს ეს ცენტრი, როგორც ეს იყო თვითმპყრობელობისა და „დემოკრატიული“ რესპუბლიკის დროს.

სად უნდა იქნას გადატანილი სამაზრო ცენტრი? ყველა მოსაზრება ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ცენტრი იქნეს გადატანილი ქიათურაში, სადაც სჩქეფს ნაკადი მრეწველობისა, სადაც საწარმოო ძალთა აღორძინებას დიდი მომავალი აქვს. ეს აუცილებელია, ეს აქსიომა არის. დღეს, როდესაც წარმოება დაცემულია, დღესაც კი ქიათურა ცენტრი არის წარმოებისა, აქ წინეთ დაბანდებული იყო წარმოებაში რამდენიმე ათეული ათასი მუშა, შემდეგ მუშაობა შეწყდა ომის გამო, ახლა კი შეიძლება ვსთქვათ, რომ ქიათურის მრეწველობა გაჩაღების გზაზე დგას. ის ცენტრი, სადაც დღესაც კი ჩაბმულია წარმოებაში სამი ათას მუშაზე მეტი, ის ცენტრი ღირსიც არის და საჭიროებს, რომ პროლეტარულ და გლეხურ დიქტატურის სამაზრო ორგანოები მოთავსებული იყვნენ იქ. ქიათურა დღესვე გავს ნამდვილ ევროპიულ კულტურულ ქალაქს, მომავალში კი მას შეუჩერებელი წინსვლა მოელის უეჭველად. რომ ქიათურა ჭარის ცენტრი შავი ქვის მრეწველობისა, აგრეთვე ის არის გეომეტრიული ცენტრი თუ არა, ყოველ შემთხვევაში ნამდვილი გეოგრაფიული ცენტრი მაინც. შორაპნის მაზრის სამხრეთი ნაწილი, როგორც ვთქვი, უკვე ჩამოყალიბებულია როგორც სამეურნეო ერთეული და მისი პერსპექტივები გარკვეული არის რამდენიმე ათეული წლით მაინც. მეორე მხრით, მაზრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი მხარის რაიონები დიდი პერსპექტივების მქონე არის არა მარტო შავი ქვის წარმოების დამხმარე მეურნეობით, არამედ სხვა შესაძლებლობითაც იმ კუთხეშია ე. წ. ქალის მთა, ამ რაიონში შეიძლება გაჩაღდეს და დღესაც არის ნაწილობრივ გაჩაღებული ნამდვილი სოფლის მრეწველობა. აქ მდიდარი უტეხი, სამრეწველო ტყე, ნავთი, მჟავე წყლები, სხვა და სხვა მადნეულობის ნიშნები. ყველა ამის გამო ცენტრი საბჭოთა ხელისუფლებისა, სადაც უნდა სცემდეს მთავარი ძარღვი მმართველობისა და ხელმძღვანელობისა ამ კუთხესთან უფრო ახლო უნდა იყოს, რათა უფრო ნაკლები ძალა და ენერგია დაიხარჯოს ამ რაიონის აყვავებისათვის, რომ მისი ტერიტორიის მიწის გულში ჩამარხული სიმდიდრე ამოღებული და გამოყენებული იყოს. კომისია ერთხმად მიემხრო ამ აზრს (ამხ ხუნდაძე სამწუხაროთ კომისიის კრებას არ დასწრებია, დროზე ვერ შევატყობინეთ), რომელიც მას უდავოთ და თავის თავად საგულისხმოდ მიაჩნია. მაგრამ ჩვენ სრული ანგარიში უნდა გაუწიოთ მოსახლეობას. შეიძლება მაზრის ცენტრის გადატანა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენებს იმ თემებს, იმ სოფლებს, რომლებიც მიკრული არიან ზესტაფონზე. ეხლა გლეხი შესაძლებელია უარეს მდგომარეობაში ჩავარდეს ვიდრე იყო მაშინ, როდესაც ცენტრი მდებარეობდა მასთან ახლოს, მას დაჭირდება თავის საქმისათვის უფრო შორს წასვლა, მათ მოუხდებათ ქიათურას მიმართონ. რასაკვირველია მოუხდებათ. მაგრამ ქიათურისკენ მიდის რკინის გზის ხაზი, მიმოსვლა ადვილია, რაღა თქმა უნდა, გლეხს ურჩევნია სამაზრო ცენტრი გვერდით ქონდეს, ვიდრე მან იაროს 30—40 ვერსი. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ რაც დრო გაივლის, საბჭოთა ხელისუფლება იმდენად განმტკიცდება რომ ადგილობრივი აღმასკომები ნამდვილ ადგილობრივ მთავრობად გახდებიან. და თუ გლეხს ექნება სათავეში ნამდვილი, ღონიერი და მიზანშეწონილად მოქმედი სათემო აღმასკომი, მას არ დასჭირდება სიარული სამაზრო ცენტრში, იქ სიარული დასჭირდება მხოლოდ კულაკებს, სოფლის წურბლებს, სხვა და სხვა ვაჭრებს და დალალებს. ამათ ჩვენ მაინც და მაინც სათვალავში არ ვიღებთ. ისარგებლონ რკინის გზით და თუ საჭიროა მათთვის მეტი გზა გაიარონ და თავისი საქმე ქიათურაში გააკეთონ. საერთოდ რაც შეეხება ახლო მდებარე სოფლებს მათი მდგომარეობა თითქმის არ უარესდება, ვინაიდან მაგალითად ჩხარის საზოგადოებას [illegible] ქიათურა, როგორც ზესტაფონი. ესევე ითქმის სხვა და სხვა თემებზე როგორც ამაშუკეთი, ხუნევი და სხ. უეჭველია, ზოგს უფრო ეშორება, მაგრამ ეს განსხვავება სრულიად მცირეა. ხარაგოულის თემს აუცილებლად გაუგრძელდება გზა, ჯერ შორაპანში წასვლა, მერმეთ შორაპნიდან ქიათურაში. მაგრამ ამხანაგებო ჩვენ არ გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ ყველა დავაკმაყოფილოთ, ვინაიდან ეს შეუძლებელია, მთავარი საზომი უნდა იყოს, თუ რა წაწევს რესპუბლიკას წინ, რა განავითარებს მის საწარმოო ძალას და რა ააყვავებს იმ კუთხეს, რომელსაც აქვს საშუალება და შესაძლებლობა აყვავების. მოსაზრება, რომელიც ეყრდნობა მარტო ხარაგოულის თემის ინტერესებს, უკუსაგდებია. ხარაგოულის აღმასკომმა განაცხადა პროტესტი გადატანის გამო, სხვა თემები კი ან ნეიტრალიტეტს იცავენ ან აქტიური მომხრენი არიან ამ გადატანისა. საბჭოთა სამაზრო ყრილობამ ერთხმად—ერთის წინააღმდეგ და რვის თავის შეკავებით—დაეთანხმა ამ გადატანას. შეიძლება ვინმე განსაკუთრებული მოსაზრებით არის დაინტერესებული გადატანის საკითხში? არა, გადატანის მომხრეთა შორის, მხოლოდ ერთია ქიათურელი. სხვები კი ან სხვა რაიონებიდან არიან ან და ადგილობრივ შორაპან ზესტაფონელი. მაგრამ გამოდიან რა ფართო მოსაზრებიდან მთელი მაზრის რაიონების აყვავების ინტერესებიდან, ყველა ადგილობრივი მუშაკები აღიარებენ, რომ ეს აუცილებელია, რადგანაც ცენტრის გადანაცვლება მუჯლუგუნს წაკრავს მთელი შორაპნის მაზრის წარმატებას და შეძლებას მოგვცემს მის აყვავებისა და სამრეწველო ნიადაგზე დაყენებისას. რაც შეეხება ხარაგოულს, რამოდენიმედ სამართლიანად ვცნობთ მის უკმაყოფილებას და პროტესტს, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ იქაური მუშაკები გაიგებენ ამ გადატანის მნიშვნელობას და იმ შედეგს, რომელიც მას მოყვება. და ამიტომ კომისია სურვილს გამოსთქვამს: თუ გამოირკვევა, რომ ცენტრის გადატანა უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს ხარაგოულის თემის ღარიბ მოსახლეობას, ხელისუფლება მიიღებს ამას მხედველობაში, და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ხარაგოულის რაიონს გამოყოფს ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად (რაიონის აღმასკომი), და მით გაუადვილებს მცხოვრებლებს ხელისუფლებასთან ახლო და სწრაფ კავშირს. აი დასკვნა კომისიისა: გადატანა ცენტრის ქიათურაში უდავოა, სასარგებლო და მისაღები ყოველ მხრივ რაც შეეხება მეორე საკითხს, რომ თითქოს ეს მაზრა დაყოფილ იქნეს ორ მაზრათ—ეს აზრი უკამათოთ უკუგდებული იქნა, ვინაიდან ჩვენი მიზანი არის არა დაქუცმაცება და დაყოფა მაზრებისა, არამედ უფრო რთული ერთეულების გამოჭრა, ეკონომიური და ზოგან ეროვნული პრინციპის მიხედვით. მეორე პროექტიც, რომლის აზრით, ის თემები, რომლებიც ცენტრის გადატანით უარეს მდგომარეობაში ვარდებიან, გამოყოფილი იყვნენ და ქუთაისის მაზრას შეუერთდენ, ეს უარყოფილი იქნა, ვინაიდან საბუთიანი მოსაზრება ამ პროექტის წინააღმდეგია. ყველა ის თემები, რომლებიც მაზრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს შეადგენენ: ჩხარის და მუხურის თემები—მათ შეუძლიათ ან პირდაპირი მიმოსვლა იქონიონ ქიათურას[illegible] ეს მხოლოდ რამდენიმე ვერსით აგრძელებს მანძილს, ან და რკინის გზით დაიკაონ კავშირი სამაზრო ცენტრთან. ვათავებ რა ჩემ მოკლე მოხსენებას, ვთხოვ სესიას დაეთანხმოს კომისიის აზრს ზესტაფონიდან ქიათურაში ცენტრის გადატანის შესახებ“.

მიღებულ იქნა მომხსენებლის წინადადება ცენტრის ზესტაფონიდან ქიათურაში გადატანის შესახებ.

რადიო-დეპეშები

ახლო აღმოსავლეთის ამბები

ათინაში

რომი, 10 ოქტომბერი. საბერძნეთის მინისტრთა საბჭომ, რომელიც განწყობილი იყო მოკავშირეთა წინააღმდეგ ვენიზელოსის დეპეშის შემდეგ, გადაწყვიტა დათანხმდეს აღმოსავლეთ ფრაკიის ევაკუაციაზე.

კერზონის განცხადება.

ბორდო, 10 ოქტომბ. ლონდონში დაბრუნების შემდეგ ლორდ კერზონმა გამოსთქვა რწმენა, რომ თუ საფრანგეთი, ინგლისი და იტალია დარჩებიან მჭიდრო კავშირში, ახლო აღმოსავლეთის კრიზისი მშვიდობიანის გზით გადაწყდება.

ლოიდ ჯორჯის პასუხი.

პარიზი. 10 ოქტომბერი. გავასის საგენტო იტყობინება, რომ ლოიდ-ჯორჯი ინგლისის პრესის უკანასკნელ გალაშქრების საპასუხოდ ემზადება სიტყვის წარმოსათქმელად, რომელიც გაამართლებს მის პოლიტიკას ახლო-აღმოსავლეთში.

ამერიკის კრეისერი.

პარიზი. 10 ოქტომბერი. გაზ. „პტი პარიზიენი“ იტყობინება გიბრალტარიდან, რომ ამერიკის კრეისერმა „იტამ“ მიიღო ბრძანება დაუყოვნებლივ გავიდეს ახლო-აღმოსავლეთში.

დასავლეთ ფრაკიის ბედი

რომი. 10 ოქტომბერი. გაზ. „ჟურნალის“ ცნობით, ვენიზელოსმა მიიღო ფორმალური რწმუნება, დასავლეთ ფრაკიაში საბერძნეთის სუვერენიტეტის დაცვის შესახებ.

იტალია და საბერძნეთი.

ბორდო. 10 ოქტომბერი სტეფანის საგენტოს ცნობით, იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა აცნობა საბერძნეთს, რომ მომავალ კონფერენციის გამო, იტალია გაუქმებულად სთვლის საბერძნეთთან დადებულ ხელშეკრულებას დოდეკანების შესახებ.

სერბია და საბერძნეთი.

ჰანოვერი. 10 ოქტომბ. სოფიიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სერბიის ჯარები თავს იყრიან სერბეთ საბერძნეთის საზღვრებზე, აფიცრები და სალდათები აშკარად ლაპარაკობენ მომავალ გალაშქრების შესახებ და გამოსთქვამენ იმედს, რომ სერბია მოიპოვებს სალონიკის და დაუახლოვდება მსოფლიო ვაჭრობის ცენტრს.

ანგორა მოითხოვს კონფერენციაზე საბჭოთა რესპუბლიკების მონაწილეობას.

რომი. 10 ოქტ. თავის საპასუხო ნოტაში ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტის შესახებ ოსმალეთის მთავრობა გამოსთქვამს თანხმობას განაგრძოს სამშვიდობო მოლაპარაკება იმ პირობით, თუ საერთაშორისო კონფერენციაზე დაშვებულნი იქნებიან რუსეთის, უკრაინის და საქართველოს წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული ახლო აღმოსავლეთის საკითხით.

კონსტანტინოპოლში.

ჰანოვერი. 10 ოქტ. გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით ინგლისელებმა განაიარაღეს კონსტანტინოპოლში ქალაქის და ნავთსადგურის პოლიციის ნაწილი.

ორი კონფერენცია.

ნაუენი. 10 ოქტ. მოკავშირეებს სურთ, რომ კონფერენცია გაიხსნას სკუტარიში 1 ნოემბერს. სრუტეების საკითხი გადაწყვეტილი იქნება მეორე კონფერენციაზე რუსეთის, უკრაინის და საქართველოს მონაწილეობით, პირველ კონფერენციაზე კი დაესწრებიან მხოლოდ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ოსმალეთის, საბერძნეთის და იაპონიის წარმომადგენლები.

ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ.

ნაუენი. 10 ოქტ. ლონდონის გაზეთი ათავსებს წერილებს, რომლებიც მიმართულია ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ. ზოგიერთი გაზეთები მოითხოვენ მის გადადგომას, ახლო აღმოსავლეთში ცუდი პოლიტიკის წარმოების გამო.

ლოიდ ჯორჯის გადადგომის შესაძლებლობა.

ჰანოვერი. 10 ოქტომ. კერზონის მიერ პარიზში დადებულ ხელშეკრულებას ინგლისში სთვლიან ლოიდ-ჯორჯის შემცდარ ნაბიჯათ. პრესის გალაშქრებამ მიიღო მწვავე ხასიათი. კერძოთ ობსერვერი მოითხოვს ლოიდ-ჯორჯის გადადგომას. ამბობენ, რომ ჩემბერლენს მისცემენ წინადადებას მიიღოს პრემიერ მინისტრის თანამდებობა.

რუსეთი და საზავო კონფერენცია.

მოსკოვი. 10 ოქტ. გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგი“ იტყობინება, რომ საფრანგეთი პრინციპიალურად თანახმაა რუსეთის სამშვიდობო კონფერენციაზე მიწვევისა.

სამხედრო მოქმედებები

სტამბოლისაკენ.

მოსკოვი. 9 ოქტ. ქემალისტები განაგრძობენ სტამბოლისაკენ შეტევას. ჩანაკის მახლობლად ოსმალეთის ნაწილები მიუახლოვდნენ ინგლისის ჯარებს.

სალონიკიდან და ანდრიანოპოლიდან მოვიდა საბერძნეთის ორი ეშელონი. საბერძნეთის 5 კარგათ შეიარაღებული დივიზია საჩქაროთ გაიგზავნა ფრაკიაში.

— ოსმალებმა დააგროვეს ახალი ძალები ჩანაკთან. ბრიტანეთის ჯარები დაუახლოვდნენ ქემალის ქვეითა ჯარებს, ინგლისელები გამაგრდნენ და გაადიდეს თავიანთი ფრონტი.

სრუტეებში.

მოსკოვი. 10 ოქტ. მოკავშირეებმა აცნობეს ოსმალეთს, რომ ისინი ნებას არ მისცემენ ოსმალეთს გადავიდენ სრუტეებში სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებამდე.

სტამბოლის ბედი.

მოსკოვი. 9 ოქტ. სტამბოლის დიდმა ვეზირმა აცნობა ანგორის ეროვნულ ყრილობას, რომ კონსტანტინოპოლის მთავრობა მზათაა დაემორჩილოს ყრილობის ნებისყოფას და გადასცეს ქალაქის მართვა გამგეობა ანგორის მიერ დანიშნულ გენერალ-გუბერნატორს.

ოსმალეთის ჯარების წინსვლა

ჰანოვერი. 10 ოქტომბერი. რეიტერის საგენტო იტყობინება, რომ 8 ოქტომბერს ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს ნეიტრალური ზონა იზმიდის მახლობლად, ერთმა დივიზიამ დაიკავა კარა პეი, ხოლო ცხენოსანმა ჯარმა მიაღწია შავ ზღვის სანაპიროებამდე. მოკავშირე გენერლებმა მიუთითეს ისმეთ ფაშას ნეიტრალურ ზონის დარღვევაზე და მოითხოვეს გაყვანილ იქნეს ოსმალეთის ჯარები ნეიტრალურ ზონიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ოსმალეთს დაეკისრება.

ჩანაკთან

ჰანოვერი. 10 ოქტომბერი. ჩანაკიდან იტყობინებიან, რომ კავალერია ჩანაკში შეცვლილია ქვეითი ჯარით.

მუდანიის კონფერენცია

მდგომარეობა გართულდა.

მოსკოვი, 9 ოქტ. მუდანიაში სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. ოსმალეთის დელეგატები მოითხოვენ ოსმალეთის ჯარების მიერ აღმოსავლეთ ფრაკიის ოკუპაციას. თათბირი განუსაზღვრელ ვადამდე გადაიდო. მოსალოდნელია სრული განხეთქილება. მდგომარეობა რთულია, ვინაიდან ოსმალეთის მოთხოვნილებანი მიუღებელია. კერზონი გაემგზავრა პარიზში პუანკარესთან სათათბიროდ. მოკავშირეთა გენერლები დაბრუნდნენ კონსტანტინოპოლში. საფრანგეთში მოლაპარაკების შეწყვეტაში პასუხისმგებლად ინგლისს სთვლიან.

კონფერენცია ხელახლა გაიხსნა.

მოსკოვი, 10 ოქტ. კონფერენცია მუდანიაში ხელახლა გაიხსნა. საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლებმა განაცხადეს თანხმობა ფრაკიის ოსმალეთისათვის გადაცემის შესახებ.

ინგლისის ცნობა კონფერენციის შესახებ.

მოსკოვი, 9 ოქტ. ინგლისის მთავრობის ოფიციალური ცნობა აღნიშნავს, რომ მუდანიის კონფერენციის კრიზისი გამოწვეულია ოსმალეთის დელეგაციის მიერ, რომელმაც დებატებს მისცა მწვავე ხასიათი და განაცხადეს, რომ თუ ოსმალეთის მოთხოვნილებანი უარყოფილი იქნება, ოსმალეთის ჯარები იერიშებს მიიტანენ მოკავშირეების ჯარების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ოსმალეთს, რომელმაც წარადგინა ახალი მოთხოვნილება, მხარი დაუჭირა ფრანკლინ ბუიონმა. შესაძლებელია, რომ კერზონი მიაქცევს პუანკარეს ყურადღებას ბუიონის ახალ გამოსვლაზე. ინგლისი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთი უარს არ იტყვის იმ ვალდებულებებზე, რომელიც მიღებული იქნება მოკავშირეების მიერ, მიუხედავად ოსმალეთის ახალი მოთხოვნილებისა.

ინგლისი წინააღმდეგია

რომი. 10 ოქტომბერი. ვინაიდან ინგლისი წინააღმდეგია ოსმალეთის ჯარების მიერ ფრაკიის დაკავებისა სამშვიდობო კონფერენციამდე, მდგომარეობა ხელახლა გაურკვეველია და გამოსთქვამენ შიშს, რომ მუდანიის კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდება.

მოლაპარაკება ხელახლა შეწყდა

ჰანოვერი. 10 ოქტომბერი. მოლაპარაკება მუდანიაში ხელახლა შეწყდა, ვინაიდან გამოირკვა, რომ საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლების ინსტრუქციები ზოგიერთ მუხლებში არ ეთანხმებიან ინგლისის წარმომადგენლობის ინსტრუქციებს. ამის გამო გენ. შარპი და მონტიბელი გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლში.

წითელი რადიოგრამები

რუსეთი

ურხარტთან ხელშეკრულების გამო.

მოსკოვი. 10 ოქტომბერი. იმის გამო, რომ სახალხო კომისართა საბჭომ არ მიიღო ამხ. კრასინის მიერ დადებული წინასწარი ხელშეკრულება ურხარტთან, „პრავდა“ სწერს: „სახალხო კომისართა საბჭომ არ დაამტკიცა საკონცესიო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთისა და ურხარტის შორის, ურალში და ალტაიში 4000 კვად. ვერსის კონცესიით გაცემის შესახებ. კეთილ სინდისიერი საკონცესიო ურთიერთობა მოითხოვს დროებით მაინც წესიერ პოლიტიკურ ურთიერთობას. ინგლისის მთავრობას კი არ არ სურს ანგარიში გაუწიოს საბჭოთა რუსეთს. ასეთ პირობებში, ურხარტთან ხელშეკრულების დადება სახიფათოა. ხელშეკრულების უარყოფა არ წარმოადგენს ახალი ეკონომიური პოლიტიკის კურსის შეცვლას.

ჩვენ გვიჭირავს უცხოეთის კაპიტალის საწინააღმდეგო კურსი“.

„იზვესტია“ ამის გამო სწერს:

„უარის თქმა ხელშეკრულების ტიფიკაციაზე დაუმტკიცებს მთე კაპიტალისტურ მსოფლიოს, რომ ს ბჭოთა მთავრობა არ მისცემს არა ნებას, რომ რუსეთი კოლონიათ დააქციონ. ლორდ კერზონის ურხარტთან დადებულ ხელშეკრუ ბაზე ხელის მოწერიდან, ორი კვი შემდეგ საფრანგეთთან ხელშეკრუ ბაზე ხელის მოწერისათვის, რომ ძალითაც რუსეთმა არ უნდა ლოს მონაწილეობა ახლო-აღმო ვლეთის საკითხების გადა

სასურსათო გადასახადის [illegible]

პერსპექტივები.

სასურსათო გადასახადის დაწყების დღიდან დღევანდლამდე აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში, სადაც შეგროვება წარმოებს, სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ მიღებულ ზედმიწევნითი ცნობების მიხედვით, ხორბლეულის ერთეულით აკრეფილია წლევანდელ მთლიან ნატურალურ გადასახადის ანგარიშში 400,000 ფუთი, რაიც შეადგენს ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადის 70 პროცენტს. შეკრებილ გადასახადის რაოდენობა ნამდვილად ამაზე მეტია, მაგრამ ჯერჯერობით ყველა ადგილიდან არ არის მიღებული სრული ცნობები შეგროვილ გადასახადის შესახებ. მთელს სასურსათო ფრონტზე მუშაობას დღითი-დღე სიცხოველე ეტყობა და ყველა მაზრა აშურებს, რომ მთელი 100 პროცენტი გადაიხადოს. ახლა შესაძლებელი ხდება, რომ უკვე შესრულებულ მუშაობას რამდენადმე ჯამი გაუკეთოთ და პერსპექტივები წარმოვიდგინოთ.

აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მაზრაში მთელი წინასწარი მუშაობა თემებსა და სოფლებზე გადასახადის გასანაწილებლად და აგრეთვე გადამხდელთა სიების შედგენა შესრულებული იქნა თავის დროზე. ადგილობრივ სასურსათო ორგანოების კარგად მოწყობილმა აპარატმა და სასურსათო გადასახადის კამპანიაში სამაზრო და სათემო აღმასკომებისა და პარტიულ ძალების მონაწილეობამ ხელი შეუწყო მთელ წინასწარ ზომების სწრაფად განხორციელებას და ამის წყალობით თითქმის ყველა მაზრაში იმ დროს დაიწყო გადასახადის შეგროვება, როგორც ამას მოითხოვდა გარემოება და ადგილობრივი პირობები. მაზრებში ერთმანეთს ექიშპებოდნენ და დღესაც ექიშპებიან იმაში, თუ რომელი მათგანი უფრო ადრე გადაიხდის მთელს 100 პროცენტს, თუმცა კლიმატიურ, ტოპოგრაფიულ და სხვა პირობათა გამო, ასეთს ქიშპობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ზოგიერთ მაზრას მასზე დამოუკიდებელ მიზეზთა გამო გადასახადის ჩაბარება იმაზე უფრო გვიან შეეძლოთ, ვიდრე საქართველოს დაბლობ ადგილებს. ამიტომ ყველა ის შენიშვნა, რომელსაც ვხვდებოდით პრესაში და რომელიც აღნიშნავდა ამა თუ იმ მაზრის ჩამორჩენას გადასახადის კამპანიაში, დაუსაბუთებელი იყო და მხედველობაში არ ჰქონდა მიღებული ადგილობრივი პირობები.

დღემდე მიღებული ცნობები ამ დებულებას სავსებით ადასტურებენ და თუ რომელიმე მაზრა გადასახადის შეგროვებაში ჩამორჩენილია და იქ ნაკლები პროცენტია აკრეფილი, ვიდრე მეორე მაზრაში, ამას თავისი გასამართლებელი მიზეზები აქვს.

დღემდე სამმა მაზრამ უკვე გადაიხადა შეწერილ გადასახადის 90 პროცენტზე მეტი. ეს მაზრები შემდეგია: თელავისა, გორისა და სიღნაღისა. ეს მაზრები ყველაზე წინ მიდიოდნენ და ერთმანეთს პირველობას ექიშპებოდნენ. გორისა და თელავის მაზრა თითქმის თანასწორად მიდიოდნენ და ხან ერთი და ხან მეორე იძლეოდა მეტს პროცენტს. სიღნაღის მაზრა კი მათზე ცოტა უკან იდგა, მაგრამ დღეისთვის მან მეორე ადგილი დაიჭირა თელავის მაზრის შემდეგ, ხოლო გორის მაზრა მესამე ადგილას დადგა. ეს მაზრები რასაკვირველია უახლოეს დღეებში მთელს 100 პროცენტს გადაიხდიან და ძნელად თუ რომელიმე სხვა მაზრა წაართმევს პირველობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთმა უკვე გადაიხადა წინასწარ შეწერილ გადასახადის მთელი 100 პროცენტი. მან გადაიხადა თავისი კუთვნილი 20,000 ფუთი ხორბლეულის ერთეული, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მისი ტერიტორია გაფართოვდა დეკრეტის № 2 თანახმად, მასზე გადავიდა დუშეთის მაზრიდან ახალგორის რაიონი, რომელსაც უწევს 5,000 ფუთი ხორბალი და ამიტომ სამხრეთ ოსეთზე შეწერილ გადასახადის პირვანდელ რაოდენობას ავტომატიურად მიემატა ეს 5,000 ფუთი. ამიტომ შემოსულ გადასახადის ცხრილებში, რომელიც იბეჭდება ხოლმე, სამხრეთ ოსეთის კუთვნილი გადასახადი ნაჩვენებია 25,000 ფუთი.

ამ მაზრებს გადასახადის წარმატებით შეგროვებაში მისდევენ შემდეგი მაზრები, რომელთაც უკვე გასტუმრებული აქვთ 65 და მეტი პროცენტიც: ახალციხისა, დუშეთისა და თბილისის. ახალციხის მაზრაში გადასახადის აკრეფა ბევრად გვიან დაიწყო. ქართლსა და კახეთში შეგროვება ივლისში დაიწყო და აგვისტოში უკვე კამპანია გაცხოველებული იყო, ჯავახეთში კი, სადაც მოსავალი გვიან მოდის, გადასახადის შეგროვების დაწყება მხოლოდ სექტემბრიდან შეიძლებოდა. აქ შეგროვება მეტად წარმატებით მიმდინარეობს, ოქტომბრის დამდეგისთვის უკვე 70 პროცენტი იყო აკრეფილი და მიღებულ ცნობების მიხედვით გადასახადის სრულად აკრეფა ერთ კვირაში დასრულდება.

დუშეთის მაზრაში გადასახადის აკრეფა ცოტა გვიან დასრულდება, ვინაიდან ეს მაზრა მკვეთრად იყოფა ორ ნაწილად. ერთია დაბლობი, მეორე მთაგორიანი ადგილი. პირველ რაიონში გადასახადის აკრეფა აგვისტოში დაიწყო, მეორეში კი—მხოლოდ სექტემბერში. ამასთანავე იმ დროს როდესაც გახურებული მუშაობა იყო, გადასახადის აკრეფას ხელი შეუშალა ბანდიტიზმმა, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლაში ჩაბმული იქმნენ მთელი ადგილობრივი ძალები.

თბილისის მაზრაში შეგროვება შეფერხებული იყო იმის გამო, რომ ისეთს მთაგორიან ადგილებში, როგორიც არის წალკა, მანგლისისა და გომბორის რაიონი და სხვა, გადასახადის აკრეფა მხოლოდ ახლა დაიწყო. მუშაობა ახლა იქ გაძლიერებულია, გადასახადი წარმატებით გროვდება და ადგილობრივი სასურსათო ორგანოები იმედოვნებენ, რომ ოქტომბრის 15—20-სთვის მთელი 100 პროცენტი იქნება აკრეფილი.

თიანეთის მაზრამ ჯერ-ჯერობით შეწერილ გადასახადის 50 პროცენტი გადაიხადა. გადასახადის წარმატებით აკრეფას მეტად შეუშალა ხელი ბანდიტურმა გამოსვლებმა და ამიტომ აგვისტოში საუცხოოდ დაწყებული საგადასახადო ოპერაციები სექტემბერში მოდუნებულად მიმდინარეობდა, ვინაიდან ცხენებისა და ტვირთზიდვის საშუალებათა მობილიზაციის გამო გლეხებს შეძლება აღარ ჰქონდათ, კალოებზე მოტანილი პურეული გალეწათ და მარცვლეული მოემზადებინათ მიმღებ პუნქტებში ჩასაბარებლად. მაზრაში მომხდარ ამბების გამო გადასახადის აკრეფა ჯერ კიდევ არ არის დაწყებული ოთხ თემში: არტაანისა, ბოჩორმისა, მაღაროსკარისა და შუაფხოში. სასურსათო მუშაკებს ამ ჟამად თავისი მუშაობა ამ თემებში გადააქვთ და მთელი საქმის ვითარება იმას ადასტურებს, იქ გადასახადი სრულიად იქნება შეგროვილი.

ახალქალაქის მაზრა, რომელიც გაშენებულია მაღლობზე, გადასახადის ჩატარებას შეუდგა მხოლოდ სექტემბრის მეორე ნახევარში და ოქტომბრისათვის შეწერილ გადასახადის 30 პროცენტი გაისტუმრა. გადასახადის შეგროვება დღითი დღე ძლიერდება და ეჭვი არ არის, რომ ეს მაზრა, რომელიც შარშან ერთი პირველთაგანი იყო გადასახადის ჩაბარებაში, ამ ერთს თვეში მთლად გაისტუმრებს მასზე შეწერილ გადასახადს.

რაც შეეხება ბორჩალოს მაზრას, იქ მუშაობამ დამკვრელი ხასიათი მიიღო მხოლოდ სექტემბრის 20 დან, ვინაიდან ამ დროისთვის გახიზნული ხალხი უკან დაბრუნდა და პურეულის გალეწვას შეუდგა. სულ 6—8 დღის განმავლობაში აკრეფილ იქმნა შეწერილ გადასახადის 30 პროცენტი. არის თემები, სადაც უკვე შეგროვილია 80 პროცენტი. დღითი-დღე მუშაობაი ცხოველდება და არის საბუთი ვიფიქროთ, რომ გადასახადის აკრეფა ოქტომბრის 15 სთვის დასრულდება.

ამ რიგათ ამ მიმოხილვიდან სჩანს, რომ წელს აღმოსავლეთ საქართველოში შეკრებილი იქნება თითქმის მთელი 100 პროცენტი. მიმდინარე კამპანია გვიმტკიცებს, რომ გლეხი შეგნებულად უყურებს სახელმწიფო წინაშე ნატურალურ ვალდებულობი მოხდას და რომ ადგილობრივმა სასურსათო ორგანოებმა აღმასკომებ აქტიურ დახმარებით და პარტიულ ორგანიზაციების მონაწილეობი დროზე და მოხერხებულად მოამზადეს გამარჯვება სასურსათო საგადასახადო ფრონტზე.

ბ.

ში, წარმოადგენს კულმინაციურ პუნქტს ინგლისის პოლიტიკისა, რომელიც რუსეთს სცნობს, როგორც მონაწილეს ევროპის პოლიტიკაში. ანგარიშს უწევს რა იმ გარემოებას, რომ ინგლისის პოლიტიკა მიმართულია საბჭოთა რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, საბჭოთა რუსეთი არ დაუშვებს, რომ ინგლისის ინტერესებმა ფეხი მოიკიდოს რუსეთის საზღვრებში, როგორც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში.

ვაჭრობა შვეციასთან.

მოსკოვი. 10 ოქტ. პეტროგრადში ჩამოვიდნენ შვეციის ფირმების წარმომადგენელნი სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილებასთან მოსალაპარაკებლად პეტროგრადში შვეციის ფაბრიკების ნაწარმოებთა რეალიზაციის შესახებ. პეტროგრადში გამოიგზავნება ხის დამამუშავებელი მანქანები და ყოველ გვარი ინსტრუმენტები.

ანრი ბარბიუსი.

მოსკოვი. 10 ოქტ. პეტროგრადში მოელიან საფრანგეთის მწერალის ანრი ბარბიუსის ჩამოსვლას.

ნაოსნობა შავ ზღვაზე.

მოსკოვი, 10 ოქტ. კონსტანტინეპოლიდან დაბრუნებულმა შავი ზღვის ნაოსნობის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საბჭოთა ნაოსნობა შავ ზღვაზე გამოცოცხლებულია. მიღებულია ზომები გემების შეკეთების გასაძლიერებლად და კავკასია-ანატოლიის განაპირების ხაზის გასადიდებლად. კონსტანტინეპოლში შესყიდულია აუარებელი მასალა გემების შესაკეთებლად. თუ კონსტანტინეპოლი ქემალისტებმა დაიჭირეს, ანატოლიის სანაოსნო ხაზი გაგრძელდება კონსტანტინეპოლამდე.

წითელი ჯვარი

მოსკოვი. 10 ოქტ. უკრაინის სახ. კომისართა საბჭომ მისცა 63.000 მან. ოქროთი წითელ ჯვარს, რომელიც ოსმალეთში მიემგზავრება.

მძარცველები

მოსკოვი. 10 ოქტ. ოდესაში აღმოჩენილია ვაგონის მძარცველთა დიდი ბრბო, დატუსაღებულია 80 კაცი.

იაფ-ფასიანი პური

მოსკოვი. 10 ოქტ. თავისუფალ ბაზართან ბრძოლის მიზნით მუშათა კოოპერატივების ბელორუსიის კავშირი აწყობს იაფ ფასიანი პურის გამოცხობას.

სომხეთი

ჯანმრთელობის სახ. კომ. ხარჯთაღრიცხვა.

ერევანი. 9 ოქტ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა წარუდგინა სახ. კომისართა საბჭოს ხარჯთ აღრიცხვა, რომლის თანახმად მედიკო-სანიტარული განყოფილების ხარჯების ნაწილი დაევალება ადგილობრივ ორგანოებს.

ბრძოლა მალიარიასთან.

ერევანი. 9 ოქტომბ. ამ დღეებში ერევანში გაიხსნება ტროპიკული მალიარიის შესასწავლი ინსტიტუტი, რომელიც დაკავშირებული იქნება რუსეთის სხვა ანალოგიურ ინსტიტუციებთან.

ბამბის რეალიზაცია.

ერევანი. 9 ოქტომბერი. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო შეუთანხმდა ბამბის მომშენებელ კომიტეტს ბამბის რეალიზაციის მისთვის გადაცემის შესახებ. მოგები განაწილდება თანასწორად.

კერძო კინომატოგრაფები.

ერევანი. 9 ოქტ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით კერძო კინემატოგრაფები გადაეცემა პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს.

სასურსათო გადასახადის კომპანია.

ერევანი, 9 ოქტ. 6 ოქტომბრამდე სომხეთის მაზრებში შეკრებილი სასურსათო გადასახადი ფუთებში: ერევნის მაზრაში პურეული—66054, კარაქი—347, თაფლი—6, ხორცი—399, პურის ობლიგაციები—546; ეჩმიაძინის მაზ. პურეული—66167, კარაქი—368, თაფლი—10, ხორცი—110, ალექსანდროპოლის მაზ. პურეული—243.121, კარაქი—398, იჯევანის მაზრაში პურეული—18.505, კარაქი—30, თაფლი—136; კარაკლისის მაზრაში პურეული—24.502, კარაქი—169, თაფლი—233, ხორცი—35; ლორის მაზრ. პურეული—71,395 კარაქი—817, თაფლი—511, ხორცი—1409, პურის სესხის ობლიგაცია 166; დარალაგის მაზრა—პურეული—9862, კარაქი—127, თაფლი—45, ხორცი—7. სულ სომხეთის 10 მაზრაში სასურსათო გადასახადი შეკრებილია 464.311 მან. ოქროთ.

ანტანტა და გერმანია

გერმანია და ბელგია.

ნაუენი. 10 ოქტ. გერმანიის მთავრობამ გადასცა ბელგიის მთავრობას საპროტესტო ნოტა ამერიკის ხელში ბელგიის საოკუპაციო ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ.

ამერიკა და გერმანია.

ნაუენი. 10 ოქტომ. ამერიკელ ბანკირთა კონგრესმა გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევს ამერიკის მთავრობას გადადგას ნაბიჯები ამერიკისათვის საკონტრიბუციო კომისიაში ამერიკის წარმომადგენლობის უზრუნველყოფილად.

ახალი საფრანგეთის ელჩი ბერლინში

ბერლინი. 10 ოქტ. გერმანიის მთავრობამ თანხმობა განაცხადა საფრანგეთის ელჩად ბერლინში დანიშვნის მარჟენის დანიშვნის შესახებ.

გერმანიის გადასახადები.

ჰანოვერი. 10ოქტ. შაბათს ბერლინში ჩავიდა შემარიგებელ კამერის თავმჯდომარე ალფანი, ხოლო კვირა საღამოს ჩავიდა ლორდ გრეი გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, გერმანიის მომავალ გადასახადების მოწესრიგების შესახებ.

ნიტის აზრი.

ჰანოვერი. 10 ოქტ. ნიტიმ გაზ. ბერლინერ ტაგებლატში მოათავსა წერილი, რომელშიაც იგი სწერს, რომ ამერიკა და ინგლისი სრულიად დაიხსნან ევროპას, თუ საფრანგეთი, იტალია და ბელგია შეუთანხმდებიან გერმანიას და თუ უარს იტყვიან საოკუპაციო პოლიტიკაზე და უსამართლო მოთხოვნილებათა წარდგენაზე.

საკონტრიბუციო კომისიაში.

ბორდო. 10 ოქტ. ორშაბათს დიუბიუამ გააცნო ბარტუ საკონტრიბუციო კომისიას, როგორც მისი მემკვიდრე.

სხვა და სხვა ამბები

გერმანია

რატენაუს მკვლელობის პროცესი.

ბორდო. 10 ოქტ. დღეს ლეიპციგში განხილდა პროცესი რატენაუს მოკვლის შესახებ, ვინაიდან ბრალდებულებს საშუალება აქვთ დაესწრონ სასამართლოს სხდომებს. ქიმიური ანალიზი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

პარიზი. 10 ოქტ. დადის ხმები, რომ გერმანიის ნაციონალისტებს განზრახვა აქვთ გაანთავისუფლონ ბრალდებული ტაშენი. მიღებულია ზომები დაცვის გასაძლიერებლად.

ჰანოვერი. 10 ოქტ. როგორც იტყობინებიან, 9 ოქტომბერს კვლავ დაიწყო რატენაუს მკვლელობის საქმის გარჩევა. ბრალდებულებს დაუნიშნეს სასტიკი კონტროლი, ვინაიდან ერთ ერთ ბრალდებულს განზრახული აქვს თავის მოკვლა.

თავის მოწამვლის განზრახვა ჯერ კიდევ ვერ დაამტკიცეს.

ბრალდებულების ბერლინში გაგზავნის დროს ავად გახდა კიდევ ნ კაცი, თავის მოწამვლის ყველა ნიშნებით. პროცესი დაიწყო გიუნტერის ჩვენებით, რომლის მოწამვლა განზრახული იყო.

თავის ჩვენებაში გიუნტერი მიუთითებდა გენ. ლიუდენდორფზე, ჰელფერიხზე, გრაფ რევენტლოვზე, პოლკოვნიკ ბაუერზე და სხვებზე, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ კაპის აჯანყებაში. სასამართლოს ექიმი ახასიათებს გიუნტერს როგორც პსიხოპატს მოშლილი პსიხიკით.

რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ურთიერთობა

მოსკოვი. 10 ოქტ. რ. ს. ფ. ს. რ. ბერლინში სავაჭრო წარმომადგენლის მოხსენების შემდეგ, გერმანიის ინდუსტრიის წარმომადგენელთა ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რათა აღდგენილ იქნეს რუსეთ გერმანიის სავაჭრო ურთიერთობა წინანდელ ფარგლებში.

ჯამაგირებს მოითხოვენ

მოსკოვი. 10 ოქტ. ჰამბურგში შესდგა პოლიციის მოსამსახურეთა მრავალ რიცხოვანი დემონსტრაციები, სადაც მოითხოვენ ჯამაგირეიბით დაკმაყოფილებას.

გერმანიის მუშათა შორის

მოსკოვი. 8 ოქტ. აქციონერულმა საზოგადოებამ „სიმენს და გალსკემ“ ბერლინში დაითხოვა 10 ათასი მუშა, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს ფაბრიკა ქარხნების კომიტეტის წევრის დათხოვნის გამო.

„ელექტრონის საერთო კამპანიამ“, გამოაცხადა 10 000 მუშების ლოკაუტი, რომლებმაც პასიური წინააღმდეგობა გამოიჩინეს სამუშაო ქირის გადიდების მიზნით.

— დანციგის ნავთსადგურის მუშების გაფიცვა დამთავრდა უკანასკნელების გამარჯვებით.

გერმანიის პარტიებში.

მოსკოვი. 8 ოქტ. გამოვიდა ლედებურის ჯგუფის ყოველკვირეული გაზეთი. საპროგრამო მანიფესტში პარტიის დროებითი პრეზიდიუმი ახასიათებს ორივე პარტიის გაერთიანებას როგორც რევიზიონიზმისაკენ გადახრას. გაზეთი აღნიშნავს, რომ ბერლინის ოლქმა გაილაშქრა გაერთიანების წინააღმდეგ. გაერთიანების წინააღმდეგ წავიდა აგრეთვე (დამახინჯებულია)... ოლქის დიდი უმრავლესობა.

გაზ. „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ მომხდარ ამბების ლოლიკა აიძულებს ლედებურის ჯგუფს იქონიოს მტკიცე კავშირი კომუნისტებთან.

იტალია

ფაშისტები

მოსკოვი. 10 ოქტ. ფაშისტების ლიდერმა მუსოლინიმ ულტიმატიურად მოითხოვა პალატის დათხოვნა და ხელახალი არჩევნების გამოცხადება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ პალატა ძალ დატანებით იქნება დათხოვნილი.

კაბინეთი

მოსკოვი. 10 ოქტ იტალიის პრესა მსჯელობს კაბინეტის მოსალოდნელ გადადგომის შესახებ. ფიქრობენ, რომ ძალა-უფლება ფაშისტების ხელში გადავა.

ფაშისტები.

ნაუენი. 10 ოქტომბერი. იტალიის კაბინეტმა გადასწყვიტა არ გადადგეს და დაიცვას მთავრობის პოზიცია ფაშისტების საწინააღმდეგოდ.

წითელ-პროფინტერნისაკენ.

რომი. „ორდინე ნუოვო“-ს ცნობებით, იტალიის კომუნისტ-რკინისგზელთა უკანასკნელ ყრილობაზე დაადგინეს, რომ რკინისგზელები საგანგებო კონგრესის მოწვევამდე, რომელზედაც გაირჩევა საკითხი პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ, ემხრობიან ინტერნაციონალს ინდივიდუალურად ან ჯგუფობრივად. დაადგინეს აგრეთვე, რომ რკინისგზელები-კომუნისტები და თანამგრძნობები გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს მოსკოვში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ წითელ პროფკავშირების მორიგ ყრილობის მუშაობაში.

ყრილობა დამთავრდა მისალმებით საბჭოთა რუსეთისა და პროფკავშირთა წითელ პროფინტერნისადმი.

შორეულ აღმოსავლეთში

შორეულ აღმოსავლეთში.

მოსკოვი. 10 ოქტ. ნიკოლაევსკში შესდგა ზეიმი ქალაქში შორეულ აღმ. რესპუბლიკის ჯარების შესვლის გამო. მცხოვრებთა წარმომადგენლებმა გაუმართეს ბანკეტი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთ.

ინგლისი

მოკავშირეთა ვალები.

ლონდონი. ინგლისის პრესა კვლავ ილაშქრებს პუანკარეს წინააღმდეგ იმ პოზიციის გამო, რომელიც მან დაიჭირა მოკავშირეების სამხედრო ვალების საკითხში. გაზეთები პუანკარეს პასუხს ინგლისის ნოტაზე უწოდებენ ულოღიკობას და მდგომარეობის გაუთვალისწინებლობას. საფრანგეთის პრემიერის განცხადება იმის შესახებ, რომ მოკავშირეების სამხედრო ვალების ლიკვიდაციის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება მანამდე, სანამ გერმანია არ გადაიხდის რეპარაციებს, ნიშნავს აშკარა უარის თქმას საფრანგეთის მიერ ინგლისელებისადმი თავის ვალების გადახდაზე, ვინაიდან შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ გერმანიამ ოდესმე შესძლოს დაფაროს ყველა ის ხარჯები, რომელიც საფრანგეთს აღნიშნული აქვს დაზარალებულ მთავრობების აღდგენის რუბრიკაში.

პოლონეთი

არჩევნები პოლონეთის სეიმში.

ვარშავა. სეიმის მომავალ არჩევნებისათვის პოლონეთის სოციალისტებმა წამოაყენეს 15 კანდიდატი, მათ რიცხვში დაშინსკი, ლიბერმანი, მალინოვსკი და სხვ. წამოყენებულია აგრეთვე ნალუპკო-კვანინსკი, ცნობილი, როგორც მიწის მუშათა გაფიცვების მოწყობის სპეციალისტი. ებრაელების სახ პარტიამ შეიტანა თავის საარჩევნო პროგრამაში შემდეგი მოთხოვნილებანი: რეალიზაცია კონსტიტუციით და ვერსალის ხელშეკრულებით დაწესებულ ნაციონალურ უმცირესობათა უფლებისა; კვირის სავალდებულო უქმობის შეცვლა იმ ხელოსანთა და ვაჭრებისათვის, რომელნიც სარგებლობენ შაბათით, როგორც დასვენების დღით, ბრძოლა მთავრობის ეკონომიურ ანტისემიტიზმთან და მთავრობის სუბსიდიების მიმართ უფლებრივი გათანასწორება; დაცვა ებრაელების ფაქტიურ თანასწორუფლიანობისა პოლიტიკურ, სამეურნეო დასაზოგადოებრივ სფეროში.

ავსტრია

უცხოელები და ავსტრია.

ვენა. დიდი სიიაფის გამო, ავსტრია აივსო უცხოელებით. ასეთი მოვლენის საწინააღმდეგოდ ავსტრიის მთავრობა ყოველივე ზომებს ხმარობს. შემუშავებულია სათანადო პროექტი, რომლითაც ძლიერ ძნელი იქნება ავსტრიის ვიზის მიღება და განისაზღვრება ავსტრიაში ცხოვრების ვადა.

მუშათა დღე ბელგიაში.

მოსკოვი. 10 ოქტ. ბელგიაში განსაზღვრულია რკინის გზებზე 8 საათის სამუშაო დღის გაუქმება.

კანცლერი სეიპელის დაბრუნება.

ბორდო. 8 ოქტ. კანცლერი სეიპელი დაბრუნდა ვენაში, სადაც მას შეხვდნენ კაბინეტი და დეპუტატები, რომლებმაც მიულოცეს მას ჟენევის გამარჯვება. სეიპელმა განაცხადა, რომ ავსტრია უნდა შეუდგეს [illegible] მუშაობას, რათა დაუბრუნდეს ნორმალურ მდგომარეობას.

დანია

კოპენჰაგენში.

მოსკოვი. 10 ოქტ. ბანკის შესახებ მომხდარ სკანდალით შექმნილი მთავრობის კრიზისი გაჭიანურებითი ხასიათს ღებულობს.

შვეცია

შვეციის პარტიებში

მოსკოვი. 10 ოქტ. შვეციის მემარცხენე ესდეკები შეუდგენ მოლაპარაკებას მემარჯვენე ესდეკებთან გაერთიანების შესახებ.

შვეციის მუშებს შორის.

მოსკოვი. 10 ოქტ. მოლაპარაკების შეწყვეტის გამო, შვეციის კერძო რკინის გზებზე გაფიცვა იზრდება გაიფიცნენ სამი ახალი ხაზის რკინის გზელები.

ისპანია

კომუნისტები ისპანიაში.

პარიზი. „ჟურნალ“-ის ცნობით მადრიდში დაატუსაღეს ბარსელონიდან ჩამოსული კომუნისტები, რომელთაც უნდოდათ მოეწყოთ ხის დამმუშავებელ წარმოების მუშების გამოსვლა.

ჩეხო-სლოვაკია

ჰანნოვერი. 8 ოქტ. ჩეხო სლოვაკიაში სამინისტროს შედგენა კვლავ არ მოხერხდა ეროვნულ სოციალისტების ოპოზიციის გამო.

რეველის კონფერენცია განიარაღების შესახებ

ჰანნოვერი. 8 ოქტ. იხსნება პოლონეთის, ესტონიის, ლატვიის და ფინლიანდიის გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენცია რუსეთის მიერ აღძრულ განიარაღების საკითხების განსახილველად

საბჭოთა საქართველოში

საქართველო

სამხრეთ ოსეთი.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი. უკანასკნელ კონფერენციამდე მომუშავე ძალების უყოლობის გამო ახ. ლგ. კომუნისტურ კავშირის მუშაობა ცუდათ მიდიოდა. პარტიული ძალები ცოტაა. არსებობს პოლიტიკური წრე, რომლის წევრები იაჩეიკების ინსტრუქტორებად ითვლებიან. ცხინვალში და აგრეთვე სამ რაიონში გახსნილია კლუბები. კომუნისტური კავშ. წევრთა ძალებით დამუშავებულია 38 დესიატინა. აქედან შემოსული მოგება მოხმარდება სარაიონო კლუბების საჭიროებას. ორ რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია მოხდა, დანარჩენ რაიონში წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა 70 პროცენტს უდრის.

სენაკის მაზრა.

(შინაგან ალმშენებლობის კომპანია)

სენაკის მაზრაში შინაგან ალმშე-

სასოფლო მეურნეობა

მეხილეობის მდგომარეობა საქართველოში.

დღეს თბილისის ბაზარზე, ყველგან ყოველ ნაბიჯზე, იყიდება აუარებელი ხილი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი და სხვა ყველა ეს ხილეული აუარებელი შემოდის საქართველოს ყოველი კუთხიდან თბილისის ბაზარზე, ქალაქი სავსეა ხილით. ყოველივე ეს იყიდება გაურჩევლად, იყიდება ზამთრის, ზაფხულის, ძვირფასი უბრალო და იაფ ფასიანი ჯიშის ხილი ერთად თითქმის ერთ-ნაირ ფასებში. არავინ კითხულობს თვითეული ხილის მნიშვნელობას, გამძლეობას და ვარგისობას სხვა და სხვა საჭიროებისთვის გამოსაყენებლად; არავინ კითხულობს და არც ეინტერესება მათი სახელები. თვითეული ხილის ჯიშს კი თავისი ისტორია აქვს, თვითეულ ხილს ჰყავს მოყვარული, თვითეული ჯიშის ხილზე თვის იმედებს ამყარებს მებაღე—გლეხი, რომელსაც აუარებელი შრომა დაუხარჯავს ბაღების მოვლა-მოშენებისთვის. დღეს კი მისი შრომა არ ფასდება და თბილისის ბაზარზე მშვენიერი „ბერუები“, „აპტიეკარსკი ველიამსი“, მარგალიტა მარილია და სხვა ერთნაირ ფასებში იყიდება უბრალო ვაშლებთან ერთად. რას იზამ რომ ბაზარი არ არის, ხილი არსად გადის: უსახსრობის და უადგილობის გამო, ის ხილი, რომელიც იტანს შორს გადაზიდვას დიდხანს ინახება, ხოლო რომელიც უნდა გაიყიდოს იანვარში, მარტში, აპრილში, იყიდება ეხლავ, ისეთ დაბალ ფასებში, რომ ხშირად რკინის გზის ხარჯსაც ვერ ჰფარავს და დაღონებულ მეურნეს სრულიად უცრუვდება გული ბაღების მოვლაზე და ხშირათ ამდენი ხნის ნაამაგარ და წვალებით გაშენებულ ბაღს სჩეხავს, სხვა რამ კულტურის გასაშენათ. ბაღებს კი, როგორც ვიცით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სასოფლო მეურნეობისთვის. მოკლედ ავწერ ხილის ბაღების გაშენება-განვითარების ისტორიას, შევეცდები იმ მასალის მიხედვით, რომელიც ხელთა მაქვს და, რომელიც დამუშავებულია ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, ავღნუსხო ის ხარჯები, რომელსაც სწევს მებაღე თვითეულ დესეტინა ბაღის გაშენება-მოვლაზე, ავწერ აგრეთვე ხილის გასაღების წესს და პირობებს.

ხილის ხეების გაჩენა საქართველოში ძველთაგან გავრცელებული იყო თითქმის ყველგან, ხეები ვაშლის და მსხლის ადგილობრივი ჯიშების იდგა აქა იქ გაფანტულად, სახლების წინ, ვენახში, მინდორში, ტყეშიც კი, კავკასია ხომ სამშობლოა ხილის, სპეციალური კულტურული ბაღები კი ძველად არ ყოფილა, ამ ბოლო საუკუნეში, როდესაც ხალხი აღარ კმაყოფილდებოდა, მარტო იმით, რომ მხოლოდ თავისთვის ჰქონოდათ ხილი, შეუდგა ბაღების სპეციალურად გაშენებას, და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ გორის მაზრის ბევრ რაიონში, მეხილეობამ პირველი ადგილიც კი დაიჭირა, დასავლეთში (ქუთაისის მაზრაში) მეხილეობამ მიიპყრო ხალხის ყურადღება და ხილის მეტადრე ვურკოვანი ხეხილის ბაღები ბევრი გაშენდა. ასევეა სხვა ადგილებში, ჩემის აზრით კარგი პირობების დროს მეხილეობა ერთ უპირველეს ადგილთაგანს დაიჭერს საქართველოს სასოფლო მეურნეობაში.

ეხლა უკვე საკმარისი რიცხვია კარგად გაშენებულ კულტურულ ბაღებისა, გორის, დუშეთის, თბილისის სიღნაღის, ქუთაისის მაზრებში. არის აგრეთვე ხილის ხეები ვენახებში, სადაც უსისტემოდ და გაფანტულად ჩარიგებული ვაზების გარშემო, ვაშლის, მსხლის და ატმის ხეები, ხშირად ლობის მაგივრობას სწევენ.

ჩვენ უმთავრესად ვილაპარაკებთ კულტურულ ბაღებზე.

კულტურულ და კარგად დაყენებულ ბაღებში ხეები ჩარიგებულია რიგზე, შახმატურის წესით ან კვადრატებათ.

ხეები დაშორებულია ერთმანეთზედ 1 საჟ.,—2 და 3 და მეტი საჟენზე, რიგები 6—8—10—12 არშინზე, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ხეები არის ჩაყრილი, სრულ თუ ნახევარ შტამბიანი ან სულ დაბალი (Карликовье).

წლოვანება ბაღების სხვა და სხვაა, ბევრი ბაღია 30—40 და 45 წლის, უფრო მეტჯერ ახალგაზრდა 10—20 წ. ამათზე ძველი და ახალი ბაღების რიცხვი უფრო მცირეა, მეტადრე ომის შემდეგ წლებში ბაღები ნაკლებად გაშენდა, შექმნილი პირობებისგამო.

საქართველოში ხილის ხეები ნაყოფს ადრე იძლევა, ნიშანს მე 3 წელიწადს, სრული სხმა მე 10—12 წელს იცის და მერე თანდათან მატულობს ხეების ზრდის მიხედვით. კულტურულ ბაღებისათვის საჭიროა, დაპარვა ყოველ წელიწადს დრო და დრო მიწის ნაყოფიერობის აღსადგენად სასუქის შეტანა ხეების გასხვლა—შესწორება, სასტიკი ბრძოლა მავნებლობის და ავადმყოფობების წინააღმდეგ, ღობეების შეკეთება საქონლისგან დაცვისათვის, დაბერებულ ან რაიმე მიზეზით წამხდარი ხის ნაცვლად ახალის ჩარგვა.

ყოველივე ამას აწარმოებდნენ მებაღეები შეძლების დაგვარად, აქაურ ბაღებში გავრცელებულია უმთავრესად ვაშლი და მსხალი, რომელთა ჯიშებიც მრავალ გვარია. საუკეთესო ევროპიული ჯიშები აქ მშვენივრად ხარობს და ამიტომაც არის, რომ თითქმის ყველა ჯიშის ხე მოიპოვება დღეს საქართველოში. ვაშლებიდან არის გავრცელებული სხვა და სხვა კალვილები, რანეტები, ყირიმის ჯიშებიდან სინაპი, სარო სინაპი, აგრეთვე აპორტი და სხვა ადგილობრივი: კიწურა, აბილაური, თურაბაული, შახალმა, სიუდალმა, საბა-ალმა და სხვა ბევრი ჯიში, რომელთა აქ ჩამოთვლა საჭირო არ არის. მსხლებიდან არის ზამთრის ჯიშები, ბერგამოტები, ბერე, დიუშესი, დეკანკა და სხვა.

კარგ ბაღებში ხეებს აქვთ თავისი ჩამოყალიბებული ფორმა, პირამიდის მაგვარი, რგვალი, ქვაბის მაგვარი და სხვა. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ხილის ხეები აქ კარგათ გვარობენ, ზომიერი ზამთრის გამო ხოლმე, ვინაიდან ჩვენ ზამთრის ტემპერატურა ევროპიულ ხეებისთვის მაზარალებელი არ არის, მხოლოდ ზოგიერთ წლებში, ნაგვიანებ გაზაფხულის დროს, ხეებს ძალიან დააზიანებს ხელმე რთვილი, ასეთ დაზარალებას ხილისას რთვილისაგან წინეულს ადგილი ჰქონდა გორის მაზრაში, ცხინვალის მიდამოებში და დუშეთის მაზრის მაღლობ ადგილებში, რთვილმა ვაშლი სრულიად მოსპო. ბრძოლა რთვილის წინააღმდეგ, რთვილის ჩამოყრის დროს ცეცხლების ანთების სახით ნაკლებად სწარმოებს.

ხილის ხეებს დიდ ზიანს აყენებენ აგრეთვე მავნებლები და ავადმყოფობანი. მავნებლებიდან სისხლიანი მატლი, ხილის ჩრჩილი (фруктовая моль) ირემა, ჰია და აგრეთვე ხეებს აავადმყოფებს ხის კიბო (рак), სოროსოლა (лишай) და სხვა.

ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ ბოლო დრომდის წარმოებდა, ყოველი მებაღე ხეებს რწყავდა პარიზის სიმწვანით, ხეებს ათეთრებდა კირით, აყრიდა გოგირდს, აგროვებდა ავადმყოფ ფოთლებს და ცეცხლში სწვავდა. ამ ბოლო დროს წამლების სიძვირისა გამო ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ შეფერხდა, და ხილის ხეებს ავადმყოფი ფერი დაედოთ, მოსავალი ხილისა საქართველოში კარგი მოდის, სრულ-წლიანი ბაღები საშუალოდ ერთი დესეტინიდან იძლევა 1000 ფუთს და მეტსაც, ეს არის, რომ საქართველოში არ არის გავრცელებული ხილის ის გასხვლა, რომ მოსავალი ყოველ წელიწადს მოვიდეს და არ მოხდეს ის, რასაც ჩვენში მეწლეობას ეძახიან; მეურნეები მეტადრე ვაშლის კულტურის დროს არჩევენ მოსავალი მრავლად მიიღონ ერთ წელიწადს, მეორე წელიწადს კი ხეები დაასვენონ. მაგრამ ეს არ არის მიზან-შეწონილი სჯობს მოსავალი ნაკლები იყოს და ყოველ წელიწადს მოვიდეს. ამ შემთხვევაში ხილის ხარისხიც უკეთესია მით უმეტეს, რომ ხანდახან სწორედ იმ წელიწადს, რა წელიწადსაც ბაღს სხმის ვადა აქვს მოსული, სეტყვა, ორი წლით უსპობს მეურნეს მოსავალს. ზაფხულის ხილი შემოდის ივნისიდან, იკრიფება და მაშინვე იგზავნება ბაზარზედ. ზამთრის ხილი შემოდის სექტემბრიდან იკრიფება, საუკეთესო ინახება ზამთრისთვის დაზიანებული და წვრილი კი დაუყონებლივ ბაზარზე მიდის. ზამთრის ხილი რჩება ადგილობრივ, ან მაშინვე იგზავნება თბილისში და აქ საგანგებო სარდაფებსა და საწყობებში ინახება. აქამდის გაყიდვის საქმე ვერ არის რიგიანად დაყენებული, ხილის დიდი ნაწილი ყვავილშივე იყიდება ბაყლებზე, ნახევარ ფასად შემდეგ ბაყლები ეზიდებიან თბილისში, აქ ინახავენ საგანგებო სარდაფებში და თავის დროზე ჰყიდიან. ზოგი ერთი მებაღეები, „ვისაც მაგარი წელი აქვს“, თვით გზავნიან თბილისში და აქ კომისიონერების საშუალებით ჰყიდიან ადგილობრივ ხილის ვაჭრებზე, რომლებიც მერე აწვდიან მომხმარებლებს; ამ რიგად პირველსა და მეორე შემთხვევაშიც მებაღის და მომხმარებელს შორის არის მთელი რიგი კომისიონარების, რის გამოც როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელი, ზარალობენ განსაზღვრულ პროცენტს კომისიონერის სასარგებლოდ. მიუხედავად ყოველივე ამისა ხილის მოყვანა ბევრად უფრო სასარგებლო იყო პურის ან სხვა კულტურაზე. ვაშლი იყიდებოდა ფუთი 1 მანეთიდან—3—მანეთამდე, მსხალი ცოტა უფრო ძვირად. ერთ დესეტინაზე თუ მოვიდოდა 1000 ფუთი, ბაღი იძლეოდა 1000-დან 3000 მანეთამდე, ბაღის ხარჯი წელიწადში უდრიდა ხუთას მანეთს, ამ რიგად მეურნეს რჩებოდა 500—2500 მანეთამდე წმინდა შემოსავალი, ეს უწინდელი ფასების კვალობაზედ შრომის სრული დაფასება იყო.

ბოლო წლებში ხილის გასაღებას გასაადვილებლად და მომხმარებლისთვის პირდაპირ მოწოდების მიზნით, დაარსდა მეხილეთა ამხანაგობანი, მაგრამ ამათ ვერ შესძლეს დაკისრებული მიზნების შესრულდება. და თვითაც კომისიონერების როლს თამაშობენ. ვერ შესძლეს დაარსონ ისეთი სავაჭრო დაწესებულებანი, საიდანაც ფართო მასას მიეცემა საშუალება გირვანქობით ხილის შეძენისა, ისინი ისევ ფუთობით ჰყიდიან ვაჭრებზე, შემდეგ კი ვაჭრები 100 პროც. მომატებით ხალხზე, ხილი რომ თვითონ 50 პროც. მეტად გაყიდოს პირდაპირ მომხმარებლებზე, მეხილენიც და მყიდველნიც მოგებაში დარჩებიან.

გაყიდვის გარდა, ხილს აგრეთვე აშრობენ ჩირად, თუმც სახმობი მანქანების უქონლობის გამო, ხილი ხმება ძალიან ცოტა და ხშირად მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ამ ბოლო დროს ფეხს იკიდებს კონსერვების კეთება, ქ. გორში ცეკავშირმა გააღო კონსერვების ქარხანა, ასეთივე ქარხნები დააარსეს სხვა ორგანიზაციებმაც, როგორც მაგალითად „ზაკტპამ“.

ომამდის და ომის დროსაც ხილის საგრძნობი ნაწილი გადიოდა რუსეთში. რკინის გზას ჰქონდა სპეციალური ხილის გადასაზიდი ვაგონები, რომლებითაც აქაური ხილი მიდიოდა რუსეთის დაშორებულ ქალაქებში. ხილის გადაზიდვაზე განსაზღვრული ტარიფი იყო დაწესებული და მეხილეებს საშუალება ჰქონდათ ნაკლებ ფასებში ხილის გატანისა, ცოტაოდენ სიძნელეს წარმოადგენდა ხოლმე ხილის ჩასალაგებელი ყუთების და შესახვევ ბურბუშელას შეძენა. ბურბუშელას ნაწილს ამზადებდა ბორჯომის ქარხანა, ნაწილი შემოდიოდა რუსეთიდან.

ბოლო დროს ხილის შესახვევად ხმარებაში შევიდა ქაღალდის ნაჭრები, ტელეგრაფის ძველი ლენტების სახით, აგრეთვე ქაღალდის ბონების მონაჭრები, თუმცა ეს უკანასკნელი ვერ არის კარგი. ყოველივე ამას ყიდულობენ მეხილეები ძალიან ძვირ ფასად.

წრეულს, 1922 წელს, ბუნების ხელშემწყობ პირობების გამო ხილის მოსავალი ძალიან კარგი იყო. ც. ს. ს. ცნობით ხილის მოსავალი საშუალოზედ კარგია, ამის გამო კარგი ხარისხის ვაშლი და მსხალი ბევრი მოიპოვება ყოველ მაზრაში, მაგრამ როგორც აღვნიშნე, მისი გასაღების პირობები ძალიან გაძნელდა და მეხილეებს ხილზე გული აუცრუვდათ.

„ხილის ბაზარი მოკვდა“, დაღონებულნი ამბობენ მეურნეები, აღარა ღირს ბაღების მოვლა-პატრონობა, ხარჯს აღარა ჰფარავს. მაინც მოაქვთ თბილისის, ამ ერთად-ერთ ბაზარზე ხილი; „მაშ რა ექნათ, ხომ არ გადავყრით ან არ დავალპობთ“. პირობები კი მართლაც ძალიან გაძნელებულია და აი რატომ:

ვიანგარიშოთ ყოველი ხარჯი ერთ ფუთ ხილზე ყუთის გაკეთება და ჩალაგება—30.000 მან., სადგურამდის მიტანა—ურმის ქირა 20.000 მ., რკინის გზის ხარჯები სადგურ გორიდან (როგორც ხილის ცენტრიდან) 45 000 (ფრახტი, დატვირთვა, გადმოტვირთვა „ნაკლადნოის“ ხარჯები), სადგურიდან ბაზარში მიტანა 10.000 მ., ყუთის უკან დაბრუნება 30 000, სულ 135.000 მანეთი, ფუთი ხილი კი დღეს იყიდება 80.000—150.000 მ., მეტს არც ერთი ვაჭარი არ იძლევა, აქედანაც კომისიას 10 პროც., და გაკვირვებული მკითხველი დაიძახებს „ეს ხომ ზარალია“, ზარალი და როგორი ზარალი, მებაღეები სულ გატყავდნენ და ბაღების გაჩეხვაზე ჰფიქრობენ. ამ ბოლო დროს ხარჯი ოდნავ შეამსუბუქა ხილის ურმებით ზიდვამ, ყოველ დღე თბილისის ბაზარზე გორის მაზრიდან შემოდის არა ნაკლებ 40—50 ხილით დატვირთული ურმისა. ურმებს ხილი ადგილიდან ბაზრამდის მოაქვთ 40.000 მანეთად.

ამ რიგად უმთავრესი გასაჭირია ბაზრის უქონლობა, მარტო თბილისის ბაზარი დამღუპველია მეხილეებისთვის, ყოველივე ამას თუ თავის დროზე ყურადღება არ მიექცა ვისგანაც ჯერ არს და დროზე ბაზარი არ აღმოუჩინა ხილს და არ შეუწყო ხელი, ხილის გადაზიდვის გაადვილებას, ამ კულტურასაც ისეთი დღე მოელის, როგორც ქუთაისის მაზრაში დაფნის ხის კულტურას და რესპუბლიკა დაჰკარგავს სასოფლო მეურნეობის ასეთ ძვირფას და ფეხზე დამდგარ დარგს—მეხილეობას. საჭიროა თვით მთავრობამ სასურსათო კომისარიატის ან სხვა დაწესებულების სახით ჩაუდგეს სათავეში ამ დიდ საქმეს. საკმარისი არ არის მხოლოდ მეხილეთა ამხანაგობების დახმარება, უნდა მოეწყოს ისე, რომ ხილი მწარმოებლის ხელიდან პირდაპირ მომხმარებლის ხელში გადადიოდეს. საჭიროა მოპოვება ბაზრის, ეს ბაზარი არსებობს, ეს არის რუსეთი, სადაც ხილი არ მოდის და ხილის ნაცვლად კი შეიძლება სხვა საქონლის შეძენა; ამისთვის საჭიროა მხოლოდ მოგვარდეს იქ გატანის საქმე, ამის მოწყობა შესაძლებელია საბჭოთა მთავრობის დახმარებით. ეს ერთი უპირველეს საკითხთაგანია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებაში.

გარდა ხილის გასაღებისა, ფართედ უნდა მოეწყოს ხილის ადგილობრივ გამოყენების საქმე, ხილიდან კეთდება ჩირი, კერკი, კონსერვები, მურაბები, პავიდლა, წნილი, ღვინო, არაყი, სპირტი, კურკის გამოყენება შეიძლება როგორც სათესლე მასალის, ღვინის და არაყის შემდეგ დარჩენილი ჩენჩო კი თუ მარილს დააყრით და შეინახავთ, საუკეთესო საკვებია საქონლისათვის.

თვით ხილი, როგორც საკვები, ხალხისთვის მეტად სასარგებლოა, სიმშილობის დროს გამხმარი ხილი პურის მაგივრობას სწევს.

აი რამდენად არის გამოსაყენებელი ხილი და დღეს კი ეს ამოდენა საცხოვრებელი დაღუპვის გზას ადგია და ეს ძვირფასი კულტურა ჩვენის ნაბიჯით უკან-უკან მიდის.

ლ. ჭანაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

სოციალური დაზღვევა

(კითხვა პასუხი)

კითხვა. რა რაოდენობით ეძლევა დახმარება კასის მ-ნ წილის შრომის უნარის დაკარგვის დროს დამზღვევ კასიდან.

პასუხი. დამზღვევის პრინციპი ასეთია: მუშას ან მოსამსახურეს დამზღვევმა კასამ უნდა შეუნახოს შრომის უნარის დაკარგვის დროს საშუალებით ყველა სახის ის ხელფასი, რომელსაც ის ღებულობდა წარმოება ან დაწესებულებაში, როგორც მაგ. მისი სრული ჯამაგირი, ჯილდო, ზედმეტი საათების სამუშაო და სხვა. ვსთქვათ მუშას აგვისტოში აქვს 2 მილიონი ჯამაგირი, ნახევარი მილიონი ზედმეტი საათების სამუშაო და ნახევარი მილიონი ჯილდო სულ 3 მილიონი. აგვისტოში თუ ეს მუშა შრომის უნარს კარგავს დამზღვევი კასა აძლევს მას სრულებით 3 მილიონ. ეს მუშა ავადმყოფობს სექტემბერში, სექტ. ჯამაგირების განაკვეთი შეიცვალა 2 მილიონ ძირითადი ჯამაგირის მაგიერ მას აძლევს 2 ნახ. მილ. ზედმეტი სამუშაოს ხელფასი იგივე ან მეტი რჩება. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა და ნახევარი მილიონი ჯილდოს მაგიერ აძლევენ მილიონს. სექტემბერში ამ შემთხვევაში მუშას დამზღვევი კასიდან ეძლევა არა ორი მილიონი არამედ 2 ნახ. როგორც მისი კვალიფიკაციის შეფასება. სხვა სახის ჯილდო ან ზედმეტი სამუშაოს ანაზღაურება მიუხედავად იმისა იზრდება მისი ნორმა თუ კლებულობს, ეძლევა იგივე რაც მას აგვისტოში ეძლეოდა, იმიტომ, რომ მას სექტემბერში ზედმეტი ხელფასის მისაცემი ჯილდოს ღირებულება არ შეუქმნია. ხშირად არის ასეთი შემთხვევა, რომ წარმოება დაწესებულების ადმინისტრაცია სწორ ცნობებს არ აწვდის დამზღვევ კასას მუშის ნამდვილი ხელფასის შესახებ. მაგ. სამი მილიონის მაგიერ თუ ის აძლევს 2 მილიონ მანეთის ცნობას, მაშინ დამზღვევი კასა ამ მუშას აძლევს ორ მილიონს, ე. ი. მუშა კარგავს მილიონ მანეთს. მწარმოებელი ამაში იმიტომ არის დაინტერესებული, რომ, როდესაც ის აძლევს 3 მილიონ მანეთის მაგიერ ცნობას 2 მილიონს, მაშინ საპროცენტო ანარიცხს მას შეაქვს 2 მილიონის ანგარიშით ე. ი. 300 ათასი მან. მაგიერ იძლევა 200 ათას მან. და 100 ათასი კი მის ჯიბეში გადადის. რომ მუშა მოსამსახურეებმა არ დაკარგონ კუთვნილი დახმარების ნაწილი და მიიღონ სრულიად კასიდან, რაც მათ ეკუთვნით, ისინი კონტროლს უნდა უწევდენ თავისი წარმოების ადმინისტრაციას მათი ხელფასის სწორ ცნობების მიწოდებაში და ყოველივე გაუგებრობა თავიდან უნდა აიცილონ.

ზლატოვოლსკის გამჯის ქარხანაში

ამ ქარხანაში მუშაობს 5 მუშა, მათ შორის ერთი ქალია. მუშების მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია, როგორც სანიტარულის მხრივ, აგრეთვე ეკონომიურის მხრივაც. ქარხანაში სამუშაოთაც და ქარხნის გარეშეც მუშებს ერთი და იგივე ტანისამოსი აქვთ. არა აქვთ სამრეცხვო, რომ მუშებს შეეძლება ქონდეთ ტანისამოსის გარეცხვა. აგრეთვე მოკლებულნი არიან პირსახოცს, რის გამოც ხელ-პირის დაბანის შემდეგ ტანისამოსზე იმშრალებენ და ამით სიბინძურის ერთი ორად ხელს უწყობენ. ქარხანას არა აქვს სავენტილიაციო ფანჯრები. არ არის ჰიგიენურად მოწყობილი, რის გამოც ქარხანაში ისეთი მოწამლული ჰაერია, რომ საკვირველია 8 საათს როგორ სძლებს იქ ადამიანი. ასეთი პირობების გაგრძელება აუცილებლად გამოიწვევს მუშების დაავადმყოფებას. ამ გარემოებას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერარს და დროზედ მოეღოს ბოლო ასეთ ანტისანიტარულ პირობებს. ქარხნის მმართველი სასტიკათ ეპყრობა მუშებს. მმართველის სიმკაცრის ისე შეუშინებია მუშები თავის კლანჭებში, რომ შრომის ინსპექტორის წინაშეც კი ეშინიათ თავიანთი გულის წადილს თქმისა.

მმართველი არ ემორჩილება არავითარ წესრიგს და თავისი უდიერი მოქცევით შეურაცხყოფასაც კი აყენებს მუშებს. საჭიროა მმართველის თავგასულობას დროზედ მიექცეს ყურადღება და ამ თავითვე ალაგმულ იქნას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც ირკვევა, მმართველი უბირჟოთ ყოფილა მიღებული, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მოხიარული.

ქალაქის სასაკლაოს მუშების ცხოვრებიდან

ქალაქის სასაკლაო ძლიერ რთულ ორგანიზაციას წარმოადგენს. შესდგება მრავალი განყოფილებისაგან, სადაც დაბანდებულია სხვა და სხვა დარგის მუშები. მუშათა საერთო რიცხვი 136 აღწევს. ამ ჟამად შრომის დაცვის საქმე ნორმალურ პირობებშია ჩაყენებული, თუმცა ზოგიერთ განყოფილებებში დღესაც ხანდახან ხდება შრომის დაცვის კანონების შელახვა, განსაკუთრებით ასეთ გარემოებას აქვს ადგილი მოზარდთა მიმართ. წინად შრომის დაცვის კანონების დარღვევას უფრო სისტემატიური ხასიათი ქონდა, მაგრამ შრომის ინსპექციის ენერგიული მეცადინეობით შესუსტდა. შრომის ინსპექტორი ხშირი სტუმარია სასაკლაოზე და ღებულობს ზომებს არსებულ დეფექტების მოსასპობად. აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელსაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. ხშირია ისეთი შემთხვევები, რომ მუშები ვერ გამოსთქვამენ თავიანთ გულის წადილს „ხაზეინების“ შიშის გამო. აი აქ მართებს შრომის ინსპექტორს მთელი თავისი ენერგიისა და აქტივობის გამოჩენა. ამ შემთხვევაში შრომის ინსპექტორის დაახლოვება მუშებთან აუცილებელია. საქმის სისწორით გაცნობისთვის ცხადია თვითონ მუშები უფრო ფართო მასალას მოგვცემენ მათი ცხოვრებიდან, ვიდრე რომელიმე აღმასრულებელი ორგანო.

ახალი.

შრომის ბირჟაში

შრომის ბირჟას აწყდება მრავალი უმუშევარი. უმუშევრებს თავისი უმუშევრობაც ეყოფათ, რომ კიდევ გაუორკეცოთ გაჭირვება წესრიგის დაუცველობის გამო. უმუშევრებს მთელი საათობით უხდებათ ფუსფუსი ცნობებისათვის. აგრეთვე პირდაპირ აუტანელია ბირჟას შენობის ანტისანიტარული პირობები. საჭიროა ასეთ სანიტარულ მდგომარეობას დროზედ მიექცეს ყურადღება.

პ. ქ.

ამ. არუთინოვის საპნის ქარხანა

ამ ჟამად აქ მუშაობს 2 მუშა. ბინა მუშებისა არ არის დამაკმაყოფილებელი, თუმცა შრომის ინსპექციის წყალობით ბინას ეტყობა გაუმჯობესება. ჯამაგირის მხრით მუშები შედარებით კარგ პირობებში იმყოფებიან. ქარხანაში არ არის სანიტარული პირობები დაცული, მუშებს დახუთულ ჰაერში უხდებათ მუშაობა. ქარხნის ტეხნიკური მოწყობილობაც მოითხოვს გაუმჯობესებას. შრომის ინსპექციამ სამისო წინადადება რამოდენიმეჯერ მისცა ქარხნის მმართველს, მაგრამ დღესაც არ არის სისრულეში მოყვანილი იმედია, მმართველის ასეთ დაუდევრობას მიაქცევენ ყურადღებას და ერთხელ და სამუდამოთ დაუდებენ საზღვარს.

მ ქ

რკინის-გზის დეპოში

რკინის-გზის დეპოს მუშების საერთო კრებაზე ამხ. რუბენძემ გააკეთა მოხსენება ინგლისის აგენტებისა და სოციალ-შემთანხმებლების მიერ 26 კომუნარის მკვლელობის შესახებ. დამსწრე მუშები საშინლათ აღაშფოთა ასეთ ვერაგულ მკვლელობის დასურათებამ. გამოითქვა სურვილი 26 კომუნარის ხსოვნის აღსანიშნავად ეთხოვოს სახალხო კომისარიატის კინოსექციას გადაიღოს შესაფერი სურათი ლენტზე. ეს იქნება უდიდესი დემონსტრაცია, მიმართული სოციალ-შემთანხმებელთა წინააღმდეგ. სასურველია სახალხო განათლების კომისარიატი ანგარიშს გაუწევდეს მუშათა განზრახვას და ამ თავითვე შეუდგებოდეს საქმეს.

ხ. ტ.

პროვინცია

ნებლობის კომპანია ჩატარებულად ჩაითვლება. გაყვანილია ახალი და შეკეთებულია გაფუჭებული გზები. შეკეთებულია ხიდები და სასკოლო შენობები.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი

უკანასკნელ კონფერენციამდე მუშაობა თითქმის არ სწარმოებდა. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მაზრაში გამართულ იქნა 17 მიტინგი, და 11 წარმოდგენა, რომელშიაც დაესწრო 15 ათასამდე ახალგაზრდა. ორგანიზაციებს ემჩნევა ზრდა.

გორის მაზრა.

გზების შეკეთება. სამაზრო აღმასკომმა მიიღო ზომები გაფუჭებული გზების შესაკეთებლად. თემების აღმასკომები დიდ ენერგიას იჩენენ. დიდი ყურადღება არის მიქცეული გორი—ცხინვალის გზატკეცილის შეკეთებაზე.

ახალციხის მაზრა.

ახალგ. კომუნისტური კავშირი. სამაზრო კომიტეტის მორიგ სამუშაოდ ითვლება კომუნისტურ კავშირის ორგანიზაციის ნაციონალურ შემადგენლობის შეკრება. კავშირის აბსოლიუტურ უმრავლესობას სომხები შეადგენენ—90 პროც. თუმცა მაზრაში მცხოვრებთა უმთავრესობას მუსულმანები შეადგენენ—75 პროცენ. აუცილებელი საჭიროებას შეადგენს მუსულმან ახალგაზრდებში მუშაობის საწარმოებლად მუსულმანი მუშაკი.

ბათომი

საბაჟოში. ბათომის საბაჟოში სექტემბრის განმავლობაში შემოვიდა საბაჟო გადასახადების სახით 13 მილიარდი 600 მილიონი მანეთი.

ველისციხე

(სიღნაღის მაზრა)

ველისციხეში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ბევრი რამ გაკეთდა. გავაშენეთ თეატრი, რასაც ხალხი ძალიან საჭიროებდა. თეატრი არის მშვენიერი და დამაკმაყოფილებელი. ადგილობრივ ველისციხეში არიან სცენის მოყვარენი. წარმოდგენები იმართება სისტემატიურად, რომლის შემოსავალიც მიდის როგორც ცენტრის დავალებების განსახორციელებლად, ისე კიდე ადგილობრივ ღარიბ დაწესებულებების სასარგებლოთ.

მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა ველისციხეში ქერემ ხევზე, სახელდობრ დამბა. ქერმის ხევი ზაფხულობით ისე ადიდდება ხოლმე, რომ თითქმის ერთხელ მთელი ველისციხე წაიღო. დამბის გაკეთებით ასეთ საშიშ მოვლენას ადგილი არ ექნება. ველისციხის გუბეები და გზები ისე იყო მონგრეულ დანგრეული რომ ურემს ან თუ სხვა რამეს ვერ შეეძლო ისე მშვიდობიანათ გამოევლო, თუ არ გადაბრუნდებოდა, ან კიდევ არ გასტეხოდა გლეხს. გზები და გუბეები შეკეთებულ იქნა. ველისციხეს არ ჰქონდა სასაკლაო და იგი საკლავს ხოცავდა ან თავისივე დუქნის წინ ან კიდევ სხვაგან სადმე. ავაგეთ სასაკლაო. ახლო მომავალში განზრახული გვაქვს სამკითხველოს შენობის აგება, დაარსება მუშათა კლუბისა, რომლის ნებაც უკვე სიღნაღის კულტურ. განმანათლებელმა განყოფილებამ დაგვრთო.

ველისციხე ჯერ კიდევ საჭიროებს ბევრ რამეების გაკეთებას, ამისათვის აუცილებელი საჭირო არის, რომ ცენტრმა მოგვაქციოს სათანადო ყურადღება და მოგვიმატოს მუშაკები, რომ შემდეგშიაც შევძლოთ რისამე გაკეთება.

აქაური.

ქრონიკა

◆ **„კომუნიზმის დროშა“.** იბეჭდება და გამოვა ამ დღეებში ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საპოლიტიკო სამეცნიერო ჟურნალი—„კომუნიზმის დროშა“ ს 1-ლი ნომერი, ამხ. ფ. მახარაძისა, ს. ქავთარაძისა და მ. ტოროშელიძის რედაქტორობით. პირველი ნომერი შეიცავს შემდეგ შინაარსს: 1) **გ. ქ** — საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა, 2) **ფ. მახარაძე** — გენუა-ჰააგის კონფერენცია, 3) **მ. ორახელაშვილი**—მარქსიზმი და კოსმოპოლიტიზმი, 4) **ალ. ხვანიძე**—საფინანსო პოლიტიკა, 5) **ალ. ერქომაიშვილი**—კოოპერაცია ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, 6) **ი. თ.**—ცენტრ-პარტ-სკოლა, 7) **გ. ხაჭაპურიძე**—ბიბლიოთეკა სამკითხველოების დანიშნულება. საქართველოს კომუნისტური პარტიის კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუციები: 1) გენუის კონფერენციის შესახებ, 2) სასურსათო გადასახადის შესახებ, 3) პროფკავშირების მორიგი ამოცანები, 4) ახ კომკავშირის მუშაობის შესახებ, 5) პარტიის საორგანიზაციო მუშაობის შესახებ, 6) აგიტ პროპის მუშაობა. ჟურნალი იქნება 100 გვერდამდე და ეღირება 75 ათასი მანეთი. ჟურნალში მოთავსდება მხოლოდ საპოლიტიკო სამეცნიერო ხასიათის წერილები, მონოგრაფიები, ბიბლიოგრაფიები და სხვა. პრაქტიკული ხასიათის წერილ კორესპონდენციებს და მხატვრული ნაწარმოებებს ჟურნალში ადგილი არ ექნება დათმობილი.

◆ **საავადმყოფოს საწოლები.** საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოსათვის მიცემული 2000 საწოლებიდან უკვე მიღებულია თბილისში 1200 ცალი. და 10 ოქტომბრიდან დაიწყო მათი ჩაბარება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საგანგებო კომისიამ. ახლო მომავალში მოხდება მათი განაწილება ჯანმრთელობის განყობილებათა მიხედვით.

◆ **ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. ღლონტი** გაემგზავრა მოსკოვში საგუბერნიო საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლების ყრილობაზე.

◆ **სამუშაო ქირის მინიმუმის შესახებ.** სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად სამუშაო ქირის მინიმუმის შესახებ, რომელიც სავალდებულოა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოება-დაწესებულებათათვის, შრომის სახალხო კომისარიატმა მისცა განკარგულება ყველა შრომის განყოფილებების და ინსპექტორების მიმართ, თვალყური ადევნონ იმას, რომ არც ერთ დაწესებულებაში სამუშაო ქირა არ იყოს ნაკლები დაწესებულ მინიმუმზე, ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ წვრილ წარმოებებს სადაც აუცილებელია გაირკვეს როგორც სამუშაო ქირის რაოდენობა, ისე მუშების ტარიფიკაციის სისწორე.

— დათვალიერების დროს თუ აღმოჩნდება ისეთი შემთხვევა, რომ მუშა-მოსამსახურენი ღებულობენ სამუშაო ქირის მინიმუმზე ნაკლებს, უნდა შეადგინონ ოქმები, შრომის დაცვის კანონის დარღვევისათვის, რათა პასუხისგებაში მისცენ ასეთი წარმოების პატრონი ან ადმინისტრაცია.

— თუ ასეთ შემთხვევას ადგილი ექნება სახელმწიფო წარმოება დაწესებულებაში, მაშინ აუცილებლად უნდა გამოირკვეს ამ მოვლენის მიზეზები და თვითეულ ცალკე შემთხვევაში ეცნობოს შრომის სახალხო კომისარიატს.

◆ **პოლიტიკურ განათლების და საგუბ. საპროპაგანდო განყოფილებათა წარმომადგენლების ყრილობა.** 12 ოქტომბერს გაიხსნება პოლიტიკურ განათლების და აგიტპროპების წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობაზე მიწვეული არიან ც. კ. ქალთა განყოფილების, ახალგაზრდობის კომუნისტ. კავშირის და კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ განათლების განყოფილების წარმომადგენლნი.

◆ **მუშა ძალის მოძრაობა.** ქალაქ თბილისის შრომის ბირჟას 4—7 ოქტომბრამდე რეგისტრაციაში გაატარა 3725 უმუშევარი, მათში 1938 კაცია და 1784 ქალი. კიდევ გატარებულია რეგისტრაციაში 526 უმუშევარი, მათში 352 კაცი და 174 ქალი. მოთხოვნილია 185 კაცი—141 მამა კაცი და 44 ქალი; გაგზავნილია სამუშაოზე 183 კაცი, მათში 135 მამაკაცი და 48 დედაკაცი. მოხსნილია აღრიცხვიდან ექვსი მამა-კაცი.

◆ **მუშათა ფაკულტეტის გახსნა.** კვირას ოქტომბრის 8 ს მოხდა საზეიმო გახსნა მუშათა ფაკულტეტის ყოფ რეალურ სასწავლებლის შენობაში (სასწავლებლის ქ. № 4). საზეიმო სხდომა გაიხსნა ფაკულტეტის დეკან მ. პ. ორახელაშვილის მისასალმებელი სიტყვით. გახსნას მრავალი კულტურული და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრო, დაესწრო საპატიო სტუმარი ამხ. მ. ცხაკაია. საქართ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი პროფ. მ. ჯავახიშვილი. პროფ. განათლების მთავარ-მართველობის გამგე ამხ. ნ. მგელაძე, პროფ. კავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების გამგე ამხ. გ. ყურულაშვილი, უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები. ფაკულტეტის გახსნა დამთავრდა ამხ. გძელიშვილის მოხსენებით ფაკულტეტის ანგარიშის შესახებ.

◆ **დაიკარგა მატრიკული № 2268** გერმანე გიორგაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დღეს თეატრებში

— სახელმწიფო კონსერვატორია—კონცერტი. სოვპროფის დიდი დარბაზი—საღამო კონცერტი. სახალხო სახლი — უკრაინული წარმოდგენა. მუშათა კლუბი—კონცერტი. ახალი თეატრი მ. ც. კ.—კინო. ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

კომუნისტური მეურნეობის სექციაში

9 ოქტომბერს ამხ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ტფილისის ქალაქის საბჭოს კომუნალურ სექციის სხდომა. სხდომა მოუნდა ტფილისის წყალსადენის და წყლით სარგებლობის საკითხების განხილვას.

მოხსენება წყალსადენზე და წყლის აღრიცხვის წესზე გააკეთა ამხ. დიასამიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ყოველდღიურად იხარჯება 1200 ათასი ვედრო წყალი, თუმცა წყალსადენს შეუძლია გაუშვა 1500 ათასი ვედრო წყალი. ეს ნაკლი აიხსნება იმით, რომ ხდებოდა მანქანების შეკეთება. ზაფხულის განმავლობაში შეკეთებულია „დიზელი“ და ორი სწყლის ტურბინება.

ამ ჟამად შეკეთებულია და 8 ამა თვიდან მუშაობას აწარმოებს ორთქლის ტურბინი. განზრახულია შაბათიდან წყლის მიწოდება ასწიონ 1400 ათასი ვედრამდე დღიურად; რაც შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ გასძლებენ ორთქლის ქვაბები, რომელნიც 18 წლიწადია რაც მუდმივ მუშაობაში იმყოფებიან.

ამის გარდა ახლა დიდ ხარჯებს იწვევს მაზუთი; ამ ხარჯის შესამცირებლად შემუშავებულ იქნა პროექტი მინიმუმი, რომლის ძალით ნაცვლათ ორთქლის ტურბინებისა უნდა დაიდგას ელექტრო საქაჩი. პროექტი შედგენილია იმ ანგარიშით, რომ წარმოებულ მუშაობას არ დაეკარგოს მნიშვნელობა ზემო-ავჭალის გიდრო ელექტრონის სადგურის მოწყობის შემდეგაც. პროექტის განსახორციელებლად საჭიროა ტრამვაის და ქალაქის ელექტრონის სადგურების გაერთიანება, რაც გაანთავისუფლებს ერთ მანქანას, რომლის ენერგიის გამოყენება შეიძლება ელექტრო-საქაჩების საჭიროებისათვის. ამ ვარიანტის განხორციელების შემდეგ წყლის მიწოდება მიაღწევს 2,100,000 ვედროს.

წყალსადენის ფინანსიური მდგომარეობა შევიწროებულია იმის მიზეზითაც, რომ ყველა მომხმარებლები ფულს არ იხდიან. ასე მაგალითად, უფასოდ ეძლევათ წყალი სამხედრო უწყებებს. ზოგიერთ კომისარიატებს, განათლების განყოფილებას, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას და სხ. სამხედრო უწყება ხარჯავს 155,000 ვედრო წყალს, ან 22,242 პროცენტ. იუსტიციის კომისარიატი 10,500 ვედროს, ან 1,52 პროც.; ჯანმრთელობის კომისარიატი 12,800 ვ. წყ. ან 1,85 პროც.; განათლების კომისარიატი—17,280 ვედრო წყალს, ან 2,47 პროცენტ; მეურნეობის უმაღლესი საბჭო—16,040 ვედროს, ან 2,3 პროც.; რკინის გზები 38,200 ვედრო, ან 5,45 პროცენ; მუშათა სახლები—11,700 ვედროს, ან 1,67 პროც.; ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილება 27,830 ვედროს ან 3.92 პროც.; ქალაქის განათლების განყოფილება 10,500 ვედ. წყალს, ან 1,5 პროც.; მილიცია 1600 ვედროს, ან 0,2 პროც.; კომუნალურ მეურნეობის დაწესებულებანი: სასაკლაო 32,500 ვედრო წყალს, ან 4,65 პროც.; აბანოები 9,130 ვედრო ან 1,3 პროც. სულ ამ გზით იხარჯება 368,400 ვედრო წყალი, აღრიცხვაში ტარდება მხოლოდ 700 ათასი ვედრო წყალი, და ამ რიგად, გამოდის რომ მომხმარებელთა 48 პროც. იხდის გადასახადს, და 52 პროც. კი არა. დავალიანება სხვადასხვა დაწესებულებებისა წყალსადენის მიმართ უდრის 18 მილიარდ მანეთს.

შემდეგ ამხ. დიასამიძემ გააცნო კრებას წყლის აღრიცხვის წესი და ქალაქის აღმასკომის დადგენილება წყალზე გადასახადის დაწესების შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, განსაკუთრებით კამათი სწარმოებდა წყლის აღრიცხვის წესის და წყალზე გადასახადის დაწესების სფეროში.

კამათის შემდეგ სექციამ პრინციპიალურად მიიღო წყალზე გადასახადის დაწესება საბინაო ქირის სათანადოდ გადიდების გზით, და აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა შემდეგი სხდომისათვის განიხილოს ეს საკითხი და წარმოადგინოს შესაფერი პროექტი, რომელიც განხილვის შემდეგ გადაეცემა სათანადო ორგანოს დასამტკიცებლად.

მდგომარეობა ბირჟაზე

თბილისის ბირჟა

თბილის, 10 ოქტ. თბილისის სავალიუტო საქონლის ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 9 ოქტომბრისათვის: ოქროს 10 მან.—1,150,000 ოსმალეთის ლირა — 155,000 გირ. სტერ.—1,150,000 დოლარი, ამერიკული—255,000.

მოსკოვის ბირჟა

მოსკოვი. 9 ოქტომბერი ფასის დამწესებელ კომისიის ოფიციალური კურსი.

	7 ოქტომ	8 ოქტომ.
გირ. სტერლ.	3.870	3.870.
დოლარი	873	873.
საფრან. ფრანკი	67	67.
შვეიცარ. ფრანკი	—	169.
შვეც. კრონა	—	230.
იტალიის ლირა	—	30.
ოსმალ. ლირა	—	470
ოქროს მანეთი	—	450.
გერმ. მარკა	0,40	0,40.

ბერლინის ბირჟა

ბერლინი. 9 ოქტ. გირ. სტერლინგი—11460,65. დოლარი—2596,75. ჰოლანდიური გულდენი—100087,00.

ლონდონის ბირჟა

ლონდონი 9 ოქტომბ. დახურვა.

	8 ოქტ	9 ოქტ.
პარიზი	58,17.	58,41.
ნიუიორკი	4,4 1|4	4,4 1|13.
ბრიუსელი	—	62,65.
ჟენევა	23,63	23,63
ამსტერდამი	11,37	11,37.
მილანი	103.00	103,3/8.
ბერლინი	9800.09.	12000,00.
სტოკჰოლმი	16575	16,7.
ვენა	310000.	300000.
ხრისტიანია	25,05	24,9
კოპენჰაგენი	21,7	[illegible]
ჰელსინგფორსი	196,5	[illegible]
მადრიდი	29,1	29,08
ლისაბონი	3 3|32	2 1|8
ვერცხლი	35,1|4	—

პარიზის ბირჟა

პარიზი 9 ოქტ. ლონდონი—58,345 ნიუ-იორკი—13,1950. ბერლინი—0,50 ბელგია— 93,50. ისპანია—200,50 ჰოლანდია—513,25, იტალია—58,50. შვეიცარია—246,75. ოტომანის ბანკი—731,00 ოტომანის თამბაქო—370.00.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს პოლიტწრეების ყველა ხელმძღვანელებს გატარდენ რეგისტრაციაში და ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინონ ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების ანგარიში თავიანთ მუშაობის შესახებ.

(3—2) საგიტ-საპროპაგ. განყოფილების გამგე **მ. ესხენი.**

ოთხშაბათს, 11 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში **ამხ. მიხა ცხაკაია** გააკეთებს საჯარო მოხსენებას შემდეგ თემაზე: **„საერთაშორისო მდგომარეობა და ამოხავლეთის საკითხი“.** პარტიის და პროფკავშირების ყველა წევრებს შეუძლიათ დაესწრონ მოხსენებას.

2—2 ტფ. კომ. საგიტ. საპროპ. განყოფ. გამგე **მ. ესხენი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცნობებს ამხანაგებს, რომ 14 ოქტომბრიდან დაიწყება მუშაობა სამ საშუალო ტიპის მარქსისტულ წრეში, პოლიტიკური ხელმძღვანელების და ორგანიზატორების მოსამზადებლად. ერთი წრე იქნება ქართულ ენაზე, რომლის ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. თალაკვაძე და ორი კი რუსულ ენაზე ხელმძღვანელები არიან: ამხ. ნოვიკოვი და ა. ესსენი. ამხანაგებს, რომელთაც სურთ ერთ-ერთ აღნიშნულ წრეში შესვლა უნდა გატარდენ რეგისტრაციაში საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში—13 ოქტომბერამდე. წრეში შესვლისათვის საჭიროა ცოდნა რაიონულ პარტსკოლის ან პოლიტიკური წრეების ფარგლებში.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ესხენი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე 4 რაიკომი ამით აცხადებს, რომ რაიკომის პარტიულ ამხანაგებთან უფრო მჭიდროთ დაკავშირების მიზნით, რომელთაც მუდმივათ არ აქვთ საშუალება დღისით დაესწრონ პარტიულ კომიტეტის მუშაობას, რაიკომებში იწარმოებს დამატებითი მუშაობა ყოველ დღიურად საღამოობით, 6-დან 9 საათამდე.

(3—3) რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: **ამახი.**

პარასკევს 13 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია **სახელმწიფო უნივერსიტეტის იაჩეიკის გაწმენდა** იაჩეიკის ყველა წევრებს წინადადება ეძლევათ მოაწესრიგონ პირადი საქმეები (ანკეტა, ავტობიოგრაფიები და რეკომენდაციები).

(3—2) იაჩეიკის მდივანი **შუშანია.**

პარტიის წევრთა და კანდიდატთა შემამოწმებელი და გამწმენდი მე 3 რაიონის სარაიონო კომისია აცხადებს, რომ იგი შეუდგა მუშაობას ა. წ. 7 ოქტომბრიდან. ყველა მასალები საქ. კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა შესახებ უნდა წარუდგინონ რაიკომში, (კახეთის ქ. № 1.) პარტიის განწმენდის ტეხნიკურ საქმეთა მდივანს, ამხ. ბაგოროვს დილის 10—1 საათამდე.

განწმენდის კომისია: **ამხ. კოლოხოვი, გეიდენი და გარ. ჯაფარიძე.**

განცხადებები

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში.

(ც—35)

თბილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა

ბიურო

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 12 ამა ოქტომბერს დღითი 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მუდმივი სადგომი ეზოზე (ბაკზე) მდებარე კას. ქ. № 58—59.

კანდიდატის გაგება შეიძლება ოთახი № 50 საიჯარო მაგიდის გამგესთან.

(კრ. 280—5—4)

ქალაქის აღმასკომის საადგილ-მამულო

განყოფილება

აცხადებს

ყველა დაინტერესებულ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ის ბაღ-ბოსტნები, რომელთაც **საიჯარო გადასახადი** შემოტანილი არ ექნება საადგილ-მამულო განყოფილებაში (ოთახი № 52) ა. | წ. 15 ოქტომბრამდე ჩამოერთმევათ დღევანდელ მათ მფლობელთ და გადაეცემა სხვაზე იჯარით.

(კრ. 5—3—3)

ქ. თბილისის მე-8 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს გარდაცვალებულ ივანე ილიას ძე სამოდუროვის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი თვის ვადაზე თავიანთი უფლებანი ხსენებულ სამოდუროვის მიერ დატოვებულ ქონებისადმი.

(405—1—1) სახალხო მოსამართლე **ირ. ხურგულაძე.**

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-3 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.